ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2978
პარასკევი,
13 იანვარი

ცნობის ფურცელი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დ. ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავა, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

№ 2978
პარასკევი,
13 იანვარი

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ.

დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან.
ერთის თვით 50 კაპ.
საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან.
ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი

„ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

„ნაპერწკალი"
საოხუნჯო კარიკატურებიანი ჟურნალი
◆ პირველი ნომერი გამოვა 22 იანვარს ◆

გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით, 4—8 გვერდი. კარრიკატურები დაიბეჭდება ფერადის წამლებით. ჟურნალში გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარ ოსკარ შმერლინგისა, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან და მიიღებენ მონაწილეობას მხატვრები—გრინევსკი და როტტერი.

ფასი ჟურნალისა წლიწადში 4 მან., თვეში 40 კაპ., ცალკე ნომერი 8 კაპ.

„ცნობის ფურცლის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ „ნაპერწკალი" გაეგზავნებათ ერთის მანეთის დამატებით, ე. ი. გაზეთის ხელის მომწერნი წლიურ ექვსი მანეთის მაგივრად შვიდ მანეთს გადიხდიან.

„ნაპერწკლის" წლიურ ხელის მომწერთ 3 მან. დამატებით გაეგზავნებათ გაზეთი „ცნობის ფურცელიც".

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Наперцкали".
რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

ა. პ. შულგინა-მესხი

გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ზ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

ე. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ე. აზატისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. ქიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (151—40)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (51—368—43)

ექიმი
გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვერენიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (31—5.—14)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
გ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, ახლი სვანიშვილისა.

კბილის ექიმმა
ი. ზ. კანდელაკმა

განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა. (2—15)

იყიდება

ლაკომობილი, თავის ქახრაკით (ცხენისა), ტრანსმისსია და ღვედები. შეიძლება გაქირავდეს კიდეც. ელისავეტპოლის ქუჩა, № 87. კუზანოვის სახელოსნო. (1—6—1)

ექიმი
პ. ბეჟირგანოვი

სიმონოვის ქ. № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ [illegible] (თვ.—23)

[illegible]ლის ექიმი
ივანე [illegible] ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებ. იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდისს კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

ტფილისი 13 იანვარი.

თვით-მპყრობელობა მოისპო თუ არა?

„უფლებრივ წესწყობილების" პარტია და „17 ოქტომბრის კავშირი" დაჟინებით გაიძახიან, რომ 17 ოქტომბრის შემდეგ რუსეთის ყოველ მოქალაქეს შეძლება მიეცა მშვიდობიანობის გზით იბრძოლოს თავის იდეალების განსახორციელებლადაო. მოკლედ რომ ვსთქვათ, დღეს რუსეთში კონსტიტუციონური წესწყობილება დამყარდა და სამუდამოდ მოისპო დაწყევლილი რეჟიმიო. ზოგიერთ „მეცნიერი" 17 ოქტომბრის მანიფესტის „მეცნიერულ" ანალიზითაც კი შეურყევლად ამტკიცებს, რომ რუსეთში უკვე კონსტიტუცია არსებობს. დაუგდეთ ყური პროფ. კუზმინ-კარავაევს: „მანიფესტის კონსტრუქცია თვალსაჩინოდ განირჩევა მეფის წინანდელ ნებაყოფლობისაგან. მაგალითად, 6 აგვისტოს მანიფესტი იწყებოდა სიტყვებით: „ვუცხადებთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ." შემდეგ იწყობოდა ბრძანებლობითი ფორმულები, მიმართული პირდაპირ ქვეშევრდომთა მიმართ: „კეთილ ვსცანით სახელმწიფო სათათბიროს დაარსება და დავამტკიცეთ დებულება არჩევნების შესახებაო" და სხვა. 17 ოქტომბრის მანიფესტში ამ გვარი ხასიათი მიცემული აქვს მხოლოდ ბრძანებას „მიღებულ იქმნას ზომები არეულობის, უწესოების და ძალმომრეობის შედეგთა აღსაკვეთად" და „გაერთიანებულ იქმნას უმაღლეს მთავრობის მოქმედება". დანარჩენ შინაარსის სათაური შემდეგია: „ვავალებთ მთავრობას მოიყვანოს სისრულეში ჩვენი შეურყეველი ნება". მეფის ნებაყოფლობა მოქალაქობრივ თავისუფლების შესახებ მიმართულია არა ქვეშევრდომთა, არამედ მთავრობის მიმართ, როგორც სავალდებულო სახელმძღვანელო. თავისი შეურყეველი ნება მეფემ თვითონ არ მოიყვანა სისრულეში. მისი აღსრულება მიანდო მთავრობას და ამასთანავე პირობაც დაუდო, „რომ ხალხის მიერ ამორჩეულთათვის უზრუნველ ყოფილიყოს საშუალება ნამდვილ მონაწილეობის მიღებისა ჩვენგან დაყენებულ მთავრობის მოქმედებათა ზედამხედველობაში, ე. ი. ზედამხედველობაში იმ გაერთიანებულ სამინისტროს მოქმედებისაც, რომელსაც დაევალა აღსრულება მეფის სურვილისა".

აქედან ბ-ნ კუზმინ-კარავაევს გამოჰყავს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით, შესდგა კონსტიტუციონური სამინისტრო სათანადო უფლებებით და მოვალეობით. მაშასადამე, ჰგონია ბ-ნ კარავაევს, დღევანდელი სამინისტრო პასუხის მგებელი იქნება თავის მოქმედების შესახებ პირველად შეკრებილ საპკოს წინაშე.

„შენ პირს შაქარი", გეტყოდით, ბატონო მეცნიერო, რომ სინამდვილე ძირიან-ფესვიანად არ აბათილებდეს მშვენიერს მეცნიერულს გამოკვლევას. მოიგონეთ „თავისუფლების" დღენი და შეუფარდეთ თქვენს გამოკვლევას. მოიგონეთ დეკემბრის შავი დღენი და, თუ თავმოყვარეობამ არ დაგაბრმავათ, უარს იტყვით თქვენს გამოკვლევაზედ. იქნება გვიპასუხოთ, რომ ოქტომბრის და დეკემბრის გმირული მოქმედება „კონსტიტუციონური" კაბინეტისა იყო გამოწვეული უკიდურეს პარტიების მიერ, რომელთაც ერთ წამსაც არა სჯეროდათ ქაღალდის კონსტიტუცია და გულახდილად ამბობდნენ და საქმით ამოწმებდნენ თავის ურწმუნობას.

ერთ წამს დავეთანხმოთ ბ-ნ კარავაევს და სხვა სინამდვილე, უფრო უტყუარი, ვაჩვენოთ. გაზეთ „ნოვოე ვრემიას", რომელსაც ვერავინ დასწამებს უკიდურესობას, მოჰყავს ბაასი კაბინეტის პრემიერთან, გრაფ ვიტტესთან. გრაფის აზრით თვითმპყრობელობა სრულიადაც არ მოსპობილა 17 ოქტომბრის შემდეგ. მეფემ თავის ნებაყოფლობით მიანიჭა ხალხს მოქალაქობრივ თავისუფლების საფუძველნი. ამიტომ მეფე არ შეასრულებს კონსტიტუციაზედ ფიცის მიღების ცერემონიასაო.

ასე ჰფიქრობს მთავრობის მეთაური და, რასაკვირველია, იმის სიტყვებს უფრო დაუჯერება, ვიდრე ბ-ნ კარავაევის ბრძნულ გამოკვლევას. აგრეთვე სრული ჭეშმარიტება ღაღადებს „რუსკოე სობრანიეს" პირით, რომელიც თავის მოწოდებაში ამბობს: მეფეს რომ თვითმპყრობელობის მოსპობა განეზრახა, მაშინ დიდის ამბით ტაძარში, წინაპართა ჩვეულებისამებრ, ფიცს მიიღებდა ხალხის თანადასწრებით კონსტიტუციის ერთგულობაზედაო. ეს მოსაზრება საბუთიანი მოსაზრებაა. მართლაც, რუსეთის მეფეები ყოველ დიდმნიშვნელოვან აქტს ეკლესიაში ლოცვით იწყებდნენ, ეხლა-კი ეს ჩვეულება შესრულებული არ იყო. ალბად, 17 ოქტომბრის მანიფესტი ძირითადად არაფერს არა სცვლიდა. დიახ, 17 ოქტომბრის მანიფესტი არა სპობს თვითმპყრობელობას. იგი მხოლოდ „აჩუქებს" მოქალაქობრივ თავისუფლების საფუძვლებს, რომელიც შეიძლება წართმეულ იქნას, როგორც ნაჩუქარი. დღევანდელი დღე ხმამაღლა ღაღადებს ამას. 17 ოქტომბრის საფუძვლებიდან არც ერთი აღარ დარჩა შეულახველი. გაჰქრა, ვითა კომლი, თავისუფლება სიტყვისა, ფონ-პლევეს ქირი წაიღო პიროვნების ხელშეუხებლობამ, ჩაილურის წყალი დალია კრების თავისუფლებამ, სინიდისის თავისუფლებას ხომ მზეც არ უნახავს.

ან განა შეიძლება კონსტიტუციის „ჩუქება"? განა უიმედო სიბრმავე არ არის იმის მტკიცება, რომ თვითმპყრობელ მთავრობას შეუძლიან წარმომადგენლობით წესწყობილება დაამყაროს ქვეყნად. ჩაუკვირდეთ საქმეს. თვითმპყრობელობა არის ისეთი წესწყობილება, რომელშიაც სავსება ძალისა (Власть) ეკუთვნის ერთ პირს. წარმომადგენლობით წესწყობილებით კი, ძალის სავსება ეკუთვნის ხალხს, იმის მიერ ამორჩეულთა სახით. მაშასადამე, წარმომადგენლობითი წესწყობილება ახორციელებს ხალხის მთავრობას. თუ ეს ასეა, როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ თვითმპყრობელმა მთავრობამ მიანიჭა ხალხს წარმომადგენლობითი წესწყობილებაო. თუ უკანასკნელი ახორციელებს ხალხის მთავრობას, ცხადია თვითმპყრობელობამ **დაუთმო** ხალხს მთავრობა. მაშ, 17 ოქტომბრის მანიფესტს მხოლოდ ერთად-ერთი მნიშვნელობა შეუძლიან ჰქონდეს: იდეიაში თვითმპყრობელობა გაუქმდა და გზა გაეხსნა ხალხის მთავრობას. თუ მართლა თვითმპყრობელობა მოისპო რუსეთში, 17 ოქტომბრის მანიფესტთან უნდა გათავებულიყო დღევანდელ მთავრობის უფლებანი. ეს უფლებები უნდა გადასულიყო ხალხის ხელში. ხალხს თვითონ უნდა გამოეთქვა, რაგვარი წესწყობილება ჰსურს. იქნება ხალხს კვლავ აღედგინა თვითმპყრობელობა.

დღევანდელი მთავრობა ასე არ მოიქცა. ძველებურად ისევ თვითონ დაიტოვა უფლებანი და თვით უკარნახებს ხალხს, რაგვარად უნდა შესწორდეს მოძველებული რეჟიმი. მთავრობის ასეთი მოქმედება ცხადზე უცხადესად გვიმტკიცებს გრაფ ვიტტეს და „რუსსკოე სობრანიე"-ს სიტყვების სიმართლეს და უსაფუძვლობას იმ გაუსწორებელ ოპტიმისტებისას, რომელთაც ჰგონიათ, რომ რუსეთი პარლამენტარულ რეჟიმს ეღირსა.

სანამ დღევანდელი მთავრობა არ გადასცემს თავის უფლებებს ხალხს, ე. ი. სანამ დამფუძნებელი კრება არ იქმნება მოწვეული, მანამ თვითმპყრობელობა მაგრად იდგება თავის ადგილზე.

* * *

დასავლეთ საქართველოსკენ

11 იანვარს ბათუმის მხრიდან პირველად ჩამოვიდა ტფილისში სახალხო მატარებელი. ვნახეთ რამდენიმე ჩამოსული კაცი, რომელთაც გადმოგვცეს შემდეგი.

გაფიცვის ახსნა და რუსეთში მომხდარი ამბები დასავლეთ საქართველოში ხალხს 7—8 იანვრამდე არ გაუგია. გზაში შევიტყეთ, რომ ხაშურის დაწიოკების შემდეგ დიდძალი ჯარი მოდის იმერეთისაკენო. მალე გაფიცვა აიხსნა. ხალხი რკინის გზებზე მუშაობას შეუდგა და ბევრგან სამხედრო მატარებელს პურ-მარილითა და თეთრის ბაირაღებით მიეგებნენ. სადგურ ბელოგორში გადამწვარა ოც დუქნამდე. ზესტაფონს კაცი ვეღარც კი იცნობს: ყვირილის ხიდიდან მოკიდებული მაღაზია-დუქან-სახლები გადამწვარია და ამოდენა დაბაში მხოლოდ ახლად აშენებულ ტაძრის გარუჯული კედლები-ღა მოსჩანს. როდესაც პირველად სამხედრო მატარებელი შესულა სადგურში, ბევრი ხალხი მიჰგებებია, მაგრამ ზოგს შეუმჩნევია, რომ ცუდი რამაც მოხდებაო, და უკან დაბრუნებულა. მატარებლიდან ჩამოსვლისას ორ გაქცეულ კაცისთვის თოფები უსროლიათ და მოუკლავთ. შემდეგ ჩხრეკას შესდგომიან. 7 იანვარს ღამე საშინელი ცეცხლი ავარდნილა. ღამე ბევრს დაუცლია სახლები და გახიზნულა. ჩხრეკის დროს განსაკუთრებით ეძებდნენ თურმე იმათ, ვინც ზესტაფონის სამაზრო ხაზინას დასცემოდნენ და 21,000 მან. წაეღოთ. ყვირილაში სადარაჯოდ დაუტოვებიათ ჯარი და ყაზახები და მატარებელი აჯამეთისაკენ წასულა.

აჯამეთში დაუხვრეტიათ 12 კაცი. სადგურზე, პატარა დუქნებიც დამწვარა. რიონზე მატარებელი 9 იანვარს დილით მისულა.

ამ დღეს ქუთაისში, პეტერბურგს მომხდარ ამბებისა გამო, სამგლოვიარო გაფიცვა ყოფილა. როგორც მგზავრებმა სთქვეს, რიონიდან ჯარის უფროსს შეუთვლია ქუთაისში, თუ ორის საათის განმავლობაში გაფიცვა არ მოხსნით, მაღაზია-დუქნები და დაწესებულებები არ გაახსენით და ჩვეულებრივ მუშაობას არ შეუდექით, ჯარი ძალით აიძულებს მცხოვრებთაო. მიუხედავად ქუთაისის პოლიცმეისტრის მუდარისა, რომელიც მთელს დღეს ქალაქში ეტლით დაიარებოდა და არწმუნებდა ყველას, გაეღოთ მაღაზია-დუქნები, ამ დღეს ქალაქში სრული გაფიცვა ყოფილა.

სამხედრო მატარებელი ასე შუადღისას ჩასულა ქუთაისს. მალე უბნებში პატრულები გაჩენილან. მგზავრების სიტყვით, მოკვლით არავინ მოუკლავთ. გაუბერნატორი სტაროსელსკი ჩვეულებრივ განაგრძობს მუშაობას. ბევრგან სახლები დაუჩხრეკიათ და მაღაზია-დუქნები გაულებინებიათ. 9 იანვარს ღამე ცეცხლი გასჩენია ბულვარის ბოლოში აღაჯანოვის მაღაზიას და გველესიანის სახლს. მთელი დღე ეკიდა თურმე ცეცხლი. ბევრი სახლი და მაღაზია გადამწვარა.

მგზავრები ქუთაისიდან 10 იანვარს დილით გამოსულან და არ იციან, რა მოხდა 10 იანვარს ან რა ხდება ამჟამად. სამტრედიიდან მოსულებმა გვიამბეს, რომ 10 იანვარს სამტრედიაში, საზოგადოდ, მშვიდობიანობა იყო, მხოლოდ როცა მატარებელი რიონიდან დაიძრა, ბაღდადისაკენ რამდენგანმე ცეცხლი დაინახეთო.

* * *

სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნების წესები კავკასიისთვის

(დასასრული.—იხ. გუშინდელი № 2977)

14) ისინი, ვისაც საარჩევნო ცენზი აქვს 1905 წ. 11 დეკემბრის უმაღლესის ბრძანების მე-2 ნაწილის თანახმად დაბებში—ართვინს, ზუგდიდს, რედუტ-კალეს, სალიანს, ყაგიზმანს, არდაგანსა და ოლთისში, მონაწილეობას იღებენ ქალაქის ამომრჩეველთა კრებებში.

15) სასოფლო ყრილობათაგან რწმუნებულების არჩევნებისათვის კავკასიის გუბერნიებისა და ოლქების (ბათუმის და ყარსის ოლქებს გარდა) სოფლები, აულები და კოლონიები შეერთებულ იქმნებიან სხვა და სხვა საარჩევნო ოლქებად, თანახმად გუბერნატორების მიერ შედგენილ წესებისა, რომელნიც ნამესტნიკმა უნდა დაამტკიცოს.

16) სასოფლო საარჩევნო ყრილობები მოწვეულ იქნება ერთ-ერთ სოფელს, აულს ან კოლონიაში. საგუბერნიო მმართველობის მიერ არჩეულს ამა სოფლის მამასახლისის თავმჯდომარეობით; ყრილობა შესდგება ამ რაიონის სოფლების მიერ არჩეულ პირებისაგან; არჩეული უნდა იქმნას ყოველ ათ მოსახლეზე ერთი კაცი.

17) ყოველი სასოფლო სარჩევნო ყრილობა, აგრეთვე ყაზახთა სტანიცების ყრილობა ირჩევს ორ-ორ რწმუნებულს.

18) ბათუმისა და ყარსის ოლქებში რწმუნებულებს ირჩევენ სასოფლო ოლქების ყრილობები; თითოეული ყრილობა ირჩევს ორ რწმუნებულს.

19) იმ მაზრის მემამულეთა სიებს, რომელთაც საარჩევნო უფლება აქვთ, ადგენს, ასწორებს და ინახავს მაზრის ოლქის უფროსი, ხოლო თერგისა და ყუბანის ოლქებში—განყოფილებების ატამანი. ქალაქის ამომრჩეველთა სიებს ადგენს, ასწორებს და ინახავს ქალაქის გამგეობა, ხოლო სადაც ქალაქის თვითმმართველობა არ არის, სათანადო საპოლიციო მმართველობა.

20) კერძო მემამულეთა წინასწარ და საარჩევნო კრებებში, აგრეთვე იმ კრებებში, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სოფლებიდან არჩეულნი რწმუნებულები, თავჯდომარეებად იქნებიან მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლები, ხოლო სადაც ასეთი თანამდებობა არ არსებობს—მომრიგებელი მოსამართლეები საოლქო სასამართლოს საზოგადო კრების არჩევით. მომრიგებელი მოსამართლე იქნება თავმჯდომარედ იმ მაზრის საოლქო ამომრჩეველთა კრებებშიაც, სადაც ქალაქის თვითმმართველობა არ არსებობს.

21) საარჩევნო საქმეთა საგუბერნიო კომისიები შესდგება ბაქოს, ქუთაისის, განჯის, ტფილისის, ერევნის გუბერნიებსა და აგრეთვე ყუბანის და თერგის ოლქებში. ბაქოს კომისიას ამ გუბერნიის გარდა დაექვემდებარებიან აგრეთვე დაღესტნისა და ზაქათალის ოლქები, ქუთაისის კომისიას ამ გუბერნიის გარდა—ბათუმის ოლქი, ჩერნომორის გუბერნია და სოხუმის ოლქი, ერივანის კომისიას—ყარსის ოლქი.

22) საარჩევნო საქმეთა საგუბერნიო კომისიების თავმჯდომარედ იქმნებიან ოლქის სასამართლოს თავმჯდომარენი,—წევრებად სახაზინო პალატის გამგე, საგუბერნიო ქალაქის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, საოლქო სასამართლოს ერთ-ერთი წევრი, ქალაქის თავი, საგუბერნიო ქალაქისა და ერთ-ერთი წევრი საგლეხო საქმეთა საგუბერნიო მმართველობის ერთ-ერთი წევრი.

23) საარჩევნო საქმეთა სამაზრო კომისიის თავმჯდომარედ იქმნება საოლქო სასამართლოს ერთ-ერთი წევრი, წევრებად იქნებიან—მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, მომრიგებელი მოსამართლე, ქალაქის თავი სამაზრო ქალაქისა, გადასახადთა ინსპექტორი და მომრიგებელი შუამავალი იმ საგუბერნიო მმართველობის არჩევით.

შენიშვნა I. იმ მაზრებსა და ოლქებში, სადაც თავად-აზნაურთა წინამძღოლი არ არის, მათ მაგიერ კომისიაში მონაწილეობას მიიღებს ერთ-ერთი ადგილობრივი მემამულე ნამესტნიკის დანიშვნით.

შენიშვნა II. იმ ადგილებში, სადაც არ არსებობს მომრიგებელ შუამავლის თანამდებობა, მათ მაგიერ კომისიებში მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივ საადმინისტრაციო უწყების ერთ-ერთი მოხელე გუბერნატორის არჩევით. მხოლოდ არ შეიძლება პოლიციის მოხელის დანიშვნა და აგრეთვე იმ პირისა, რომელსაც მინდობილი ექნება საარჩევნო სიების შედგენა.

24) არჩევნების ყურისგდება საოლქო საარჩევნო კრებაში ჩერნომ. გუბ., ბათუმისა და სოხუმის ოლქებში მიენდობა ბათუმის გუბერნატორს; საარჩევნო კრება ბათუმში დაინიშნება.

25) სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნები მოხდება საგუბერნიო საარჩევნო კრებებზე, საზოგადო წესებით, ყველა ამომრჩეველთა მიერ ერთად.

ახალი ამბავი

◆ **დელეგატების დახვრეტა.** გუშინ ვწერდით, რომ სადგურ აჯამეთში დახვრიტეს 9 კაცი. ორთქლ-მავალში, რომელიც ვითომ სამხედრო მატარებელს უნდა დასჯახებოდა, მჯდარა თორმეტი დელეგატი და თორმეტივე დაუხვრეტიათ. ამის შემდეგ რაზმის უფროსი პოლკოვნიკი ჩიქოვანი ქუთაისს გამგზავრებულა.

◆ **დათხოვნილთა რაოდენობა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე გაფიცვაში მონაწილეობისათვის მთავარ სახელოსნოდან, დეპოებიდან და მთავარ საწყობიდან დაუთხოვნიათ სულ 259 კაცი. რკინის გზის უფროსმა მოსთხოვა სახელოსნოს, დეპოების და საწყობის გამგეებს, გვაცნობეთ, რას ფიქრობენ ამდენ თავისუფალ ადგილების გამოო. დათხოვნილთა შორის 137 კაცი ქართველია, 66 რუსი 23 სომეხი და 9 სხვა ეროვნებისა. სხვათა შორის, დაუხოვნიათ მთავარ სახელოსნოების უფროსის თანაშემწე ს. იზრაილოვი, ცეხის უფროსი გ. გ. ლემანი, თანაშემწენი—მ. დ. აგლაძე, ი. გ. ბახტაძე, ი. კ. რიბაკი, რ. გონსენსკი და ვ. ლიშინსკი, ორთქლ-მავლების რევიზორი; აგრეთვე ს. ი. დოლიძე, ვ. დ. ბუნტური, ვ. ფ. დომბროვსკი, ტერ-არუთინოვი, ა. თუმანიანცი, ს. მათიტაშვილი და სხვანი.

◆ **გენერალ-გუბერნატორის ჩასვლა ყვირილაში.** 11 იანვარს, შუადღის 1 საათზედ ყვირილაში ჩავიდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ალიხანოვი ამ დღეს გენერალ-გუბერნატორი ქუთაისს აღარ წასულა. ამავე დღეს საღამოთი ყვირილაში მოსულა ქუთაისიდან გუბერნატორი სტაროსელსკი. ქუთაისში ბევრი სახლია გადამწვარი ცეცხლისაგან.

◆ **ჯარის უფროსის განცხადება.** დუშეთის მაზრის სოფელში განცხადებაა გაკრული ჯარის უფროსის პოლკოვნიკის დიკისა. მოგვყავს უფრო საინტერესო მუხლი: 1. აკრძალულია ყოველგვარი მიტინგები და კრებები; სოფლის ყრილობის მოხდენა შეიძლება ადგილობრივ ბოქაულის და მომრიგებელ შუამავლის ნებართვით; 2. საჯარისკაცოდ გამოწვეულნი, რომელნიც 9 დეკემბერს უნდა გამოცხადებულიყვნენ და არ გამოცხადდნენ, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ სამხედრო უფროსთან: ბაზალეთის საბოქაულოდან 12 იანვრისთვის, მცხეთის საბოქაულოდან—13 იანვრისთვის, ქვიშხეთის საბოქაულოდან—16 იანვრისთვის, ქსნის საბოქაულოდან და ქ. დუშეთიდან—20 იანვრისათვის. ის სოფლები, რომლებიდანაც არ გამოცხადდებიან ყველანი ხსენებულ ვადაზე, დაჯარიმებულ იქნებიან ხუთას მანეთით; ეს ფული სოფლებს ეკზეკუციის წესით გადახდებათ. 3. 1905 წლის გადასახადები,—სახელმწიფო, საადგილ-მამულო გადასახადი და სხვა—რაც კი მცხოვრებთ გან შესატანია ხაზინაში, უნდა შეტანილ იქმნას ამ იანვრის ოცამდე. რომელი სოფელიც ვადაზედ არ შეიტანს ამ ფულს, გადახდება იგი ეკზეკუციის წესით; 4. ყოველგვარი საბეგრო გადასახადი, მაგალითად, ურმების გამოყვანა, გზებისა, ხიდების და ბოგირების გაკეთება, შესრულებულ უნდა იქმნას მთავრობის პირველ მოთხოვნილებაზევე; რომელი სოფელიც უარს იტყვის, დაჯარიმებულ იქმნება 500 მანეთამდე; 5. მცხოვრებთ დაუყოვნებლივ უნდა დაითხოვონ თავიანთ მიერ არჩეული მოსამართლენი, ათისთავები და ასისთავები; გარდა ამისა ხალხი უნდა დაემორჩილოს სოფლის კანონიერად არჩეულ მოხელეებს; რომელი საზოგადოებაც ამ მოთხოვნილებას არ შეასრულებს, იგი დაჯარიმებულ იქნება 1000 მანეთამდე, რაიც გადახდება ეკზეკუციის წესით; სოფლის ის მოხელენი-კი, რომელნიც არ იკისრებენ თანამდებობის ასრულებას, დატუსაღებულ იქნებიან; 6. ევალებათ საზოგადოებებს, სოფლებს და სახლის პატრონებს არ შეუშვან სოფლებსა და სახლებში აგიტატორები და არა-კეთილ საიმედო პირნი და შეიარაღებული რაზმები. ყველა ესენი მთავრობას უნდა გადასცენ, დამნაშავენი დაპატიმრებულ ან 500 მანეთით დაჯარიმებულ იქმნებიან.

◆ **ბრძანება.** დუშეთში იმავე პოლკოვნიკს დიკს შემდეგი ბრძანება გამოუკრავს: „ვუბრძანებ დუშეთის სასწავლებელთა უფროსთ, სწავლა დაიწყონ ათ იანვრიდან. მშობლებს ვუცხადებ, რომ შვილები სკოლაში გზავნით მშვიდობიან გზაზე დააყენონ. იმ მშობლებს, რომელნიც არ შეასრულებენ ამ ბრძანებას, ჩავთვლი წესიერების დამრღვევად და პასუხს მოვთხოვ; ვაცხადებ აგრეთვე, რომ პეტიციები, მოწაფეთა მიერ წარუდგენილი სასწავლებლების მთავრობის სახელზე, უყურადღებოდ იქმნა დატოვებული და სწავლა კვლავინდებურად იქნება. მასწავლებელთ და უფროსთაც ვავალებ, წინანდელ წესზე დაიწყონ სწავლა მიუხედავად იმისა, რამდენი მოწაფეც შეიკრიბება სასწავლებელად“.

◆ **ცრუ ხმები.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამხედრო უფროსის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი კრილოვი ბათუმს ჩავიდა. როგორც იუწყებიან, ტყუილი გამოდგა ის ცნობა, ვითომ ნატანებსა და სუფსას შუა ლიანდაგი წამხდარი ყოფილიყოს. ლიანდაგი ყველგან რიგზე იყო, გაფუჭებული აღმოჩნდა მხოლოდ სატელეგრაფო მავთულები და კაბელები.

◆ **სამხედრო წესების გაუქმების შესახებ.** როგორც ხმა დადის, სამხედრო წესებს არ გააუქმებენ მთელს საქართველოში სახელმწიფო სათათბიროს მოწვევამდე.

◆ **გატაცებულ ფულის გადახდევინება.** გუშინ ვწერდით, რომ ყვირილის ხაზინიდან ვილაცებს 21,932 მ. წაუღიათო. როგორც ამბობენ, ამ ფულს დაბა ყვირილის მცხოვრებთ გადაახდევინებენ.

◆ **მღვდლის შეპყრობა.** როგორც დუშეთის მაზრიდან გვატყობინებენ, შეუპყრიათ მღვდელი სვ. წერეთელი.

◆ **ყუმბარა.** როგორც გვატყობინებენ, წიფაში ჩხრეკის დროს ჯარს უნახავს 6 ყუმბარა.

◆ **მაღაზიის პატრონთა დასჯა.** როგორც „კავ“. გადმოგვცემს, თორმეტ მაღაზიის პატრონს, რომელთაც 9 იანვარს მაღაზიები არ გააღეს, სრულიად დაუკეტეს მაღაზიები სამხედრო წესის გაუქმებამდე. ამას გარდა ოთხი კაცი, რომელთაც მაღაზიებს პოლიციის ბეჭედი ააცალეს, შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

◆ **შეშა.** ქალაქის გამგეობამ შეშის გასატანად ვაგონები დაგზავნა შაგალისა, სადახლოსა, წიფასა, მოლითსა და სურამის სადგურებში. ამას გარდა გამგეობა ორ ვაგონ შაქარს ელის ამ დღეებში.

◆ **მცხოვრებთა გაჭირვება.** გორის მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში არიან, რადგან მატარებლები რვა საათის შემდეგ ჩადიან გორში, სადაც სამხედრო წესის გამო საღამოს რვა საათიდან ყოველივე მოძრაობა სწყდება ქალაქსა და სადგურს შუა და არც ხიდზე გავლა შეიძლება.

◆ **აფეთქება.** სადგურ ტიხორეცკში უნახავთ ორი რაღაც კოლოფი. კოლოფები ჟანდარმისთვის გადაუციათ, მერე მესამე კლასის ბუფეტში შეუტანიათ და დაუწყიათ შინჯვა. მოულოდნელად კოლოფი აფეთქებულა. ჟანდარმი და ორი სხვა კაცი მძიმედ დაშავებულა.

◆ **გოგოხია.** ცნობილი გოგოხია, რომელიც თიანეთის მაზრის უფროსად დაინიშნა, ახლა ახალციხის მაზრაში გადაჰყავთ.

◆ **გაზეთის ნებართვა.** ტფილისის კათოლიკეთა ეკკლესიის მღვდელს დომინიკ მულაშევს ნება მიეცა ქ. ტფილისში გამოსცეს ყოველკვირეული საეკკლესიო-საზოგადოებრივი გაზეთი „ჯვარი-ვაზისა“

◆ **მოსამსახურეთა დათხოვნა.** რკინის გზის სახელოსნოების დათხოვნილ მუშებს გამგეობიდანაც მიაყოლეს. შემოსავალთა განყოფილებიდან (служба Сборовъ) უფროსის განკარგულებით დათხოვნილ იქმნენ შემდეგი მოსამსახურენი: მ. კლიმიაშვილი, სვ. და ზ. ნატროშვილები, დ. ზედგინიძე, ვ. ბარნოვი, ი. გაბუნია, ა. ლომიძე, ლ. ჯანგიძე, ნ. ლეჟავა, ა. ჯაფარიძე, ვ. ვასილიევი, კ. მათვეევი, ი. ნორდშტეინი, დ. დოვგიჩი, მ. ნეპომნიაშევი, ვ. ბელოუსოვი, ი. სერგეევი, ნ. პრუტი, დ. ბონდარევი, ს. ლოგუა, ვ. კოლანი, გრ. მიკირტუმოვი, მ. იაკუბოვსკისა, ე. სარქისოვისა, ე. ბარანოვიჩისა, ი. მაკარევიჩისა, მ. ბერენი, მ. გრიგორიევი და ა. დანაგოვი.

◆ **ბოიკოტის ახსნა.** ტფილისის მოსამსახურეთა კავშირის ბიურომ ახსნა მოსამსახურეთა დათხოვნისათვის გამოცხადებული ბოიკოტი „არარატის“ ბუფეტის პატრონს ვ. ნიკოლეიშვილს, რომელმაც დააკმაყოფილა კავშირის მოთხოვნილება.

◆ **ბრძანება რკინის გზის სახელოსნოებში.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამხედრო უფროსმა პოლკ. ნეიგებაუერმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: ყოველმა ხელოსანმა უნდა ხელ-წერილი მოგვცეს, რომ იგი დღეში 9 საათს იმუშავებს და თავის მოვალეობას მტკიცედ შეასრულებს, არ მიიღებს მონაწილეობას გაფიცვებში, კავშირებსა, კომიტეტებსა და მთავრობის საწინააღმდეგო კრებებში. ვინც ამისთანა ხელ-წერილს არ მოგვცემს, დათხოვნილ იქმნება სამსახურიდან. მუშაობის საათები განაწილებული იქმნება მათ შორის ისე, როგორც წინად იყო. ნება არა აქვს ხელოსნებს შეიკრიბნენ ჯგუფ-ჯგუფად, არავის შეუძლიან გასწიოს ორატორობა და იმოქმედოს დემონსტრატიულად. ნება არავისა აქვს მუშაობას გაანებოს თავი და დეპოდან გამოვიდეს, თუ ამისი ნება არ მისცა უფროსმა ხელოსანმა. არავის შეუძლიან გამოაცხადოს რამე მოთხოვნილება და მუშაობა შეაჩეროს გუდოკზე ადრე. ვინც ამას არ შეასრულებს, დათხოვნის გარდა, დაისჯება სამხედრო წესის თანახმად. ეს განკარგულება ძალაში შევიდა 7 იანვრიდან.

◆ **სიღნაღი.** აქაურმა ვაჭრებმა ამას წინად ისარგებლეს საზოგადო გაფიცვით და სანოვაგის ფასს ძალზე აუწიეს. განსაკუთრებით ფასებს აუწიეს შობის წინა დღეებში. ნავთი იყიდებოდა გირვანქა აბაზად, შაქარი—ათ შაურად და სხვა. ხალხი, რა თქმა უნდა, ძალზე შეწუხდა. ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციის წევრებმა მოისურვეს ვაჭრების ალაგმვა და წინადადება მისცეს, ფასები დაეკლოთ. ნავთი, მაგალითად, თორმეტ კაპიკად გააყიდინეს. ამაზე ვაჭრები, რა თქმა უნდა, ძალზე გაბრაზდნენ და სამაგიეროს იმით გადაიხადეს, რომ მაზრის უფროსს მიმართეს და დახმარება სთხოვეს. საზოგადოდ, აქაური ვაჭრები იმის გარდა, რომ ხალხს ძალზე ჰყვლეფენ, ამ მოძრაობის დროს მეტად ცუდ როლს თამაშობენ. საჭიროა აქაურმა მშრომელმა ნაწილმა და ორგანიზაციებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარამოებას და რითიმე ალაგმონ ვაჭრების თავ-გასულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება შეტაკებაც მოჰყვეს ვაჭრების მიერ ხალხის შევიწროვებას.

◆ **შიმშილი სადგურებზე.** სვირისა და რიონის სადგურის მოხელენი ატყობინებენ ამიერ-კავკასიის მიმოსვლის უფროსს, რომ სამი დღეა შიმშილით ვიხოცებით, რადგან რიონში ქუთაისიდან აღარავის არაფერი ჩამოაქვს, ხოლო სვირში რაც დუქნები იყო, სულ ცეცხლმა შთანთქაო.

◆ **ქუთათურნი.** რადგან ქუთაისამდე მატარებლების მიმოსვლა დაიწყო, ტფილისიდან ბევრი იქაური გაეშურა.

◆ **დაპატიმრება.** სოფ. ქვიშხეთში გაჩხრიკეს რკინის გზის კონტროლერი ყიფიანი, რომელიც დააპატიმრეს, ტფილისში ჩამოიყვანეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქთან 1905 წლის დამლევს მოსამსახურეთაგან შესდგა კომიტეტი, რომელსაც დაევალა მოსამსახურეთა შვილების აღსაზრდელად გადადებულ თანხის განაწილება. ეხლა-ხან ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა გამგეობამ ტფილისის ოლქს გამოუგზავნა ამ საქმისთვის ხამასი თუმანი და კომისიაც შეუდგა ამ მცირე თანხის განაწილებას უღარიბეს მოსამსახურეთა შვილთა. იმდენი მოთხოვნილება აღმოჩნდა, რომ ფული მესამედსაც ძლივს გასწვდება.

◆ როგორც გვცნობის, ქართულად ითარგმნება გ. ხერსოვის საინტერესო ბროშიურა: „გლეხი და მუშა, როგორც ეკონომიურ წყობილების კატეგორიები“.

◆ იმ მუშებმა, რომელნიც ქუჩებს ანათებენ, გუშინ მოთხოვნილებები წარუდგინეს ქალაქის გამგეობას. მუშები ითხოვენ ჯამაგირების მომატებას, აგრეთვე წინ-საფრებს, ორჯელ თვეში აბანოს, სამკურნალო შემწეობას უფასოდ, უფასოდ შეშას, წელიწადში თითო თვით განთავისუფლებასა და სხვას.

◆ დღემდე ორთაჭალისაკენ ტრამვაის ვაგონები არა მუშაობენ. გამგეობის შეკითხვაზე დირექტორმა აცნობა, რომ სომეხ-თათართა შეტაკების დროს ვორონცოვის ქუჩაზე ერთი სახლი დასწვეს; სახლის კედლები მოძრაობისათვის საშიშია. თუმცა, ჩემის თხოვნით, ქალაქის თავმა განკარგულება მოახდინა ამ კედლების ჩამოსანგრევად და ქუჩის გასაწმენდად, მაგრამ განკარგულება აქამდე არ იქმნა შესრულებული და ამიტომ მოძრაობა შეწყვეტილიაო.

◆ ნიხრის დამწესებელ კომისიის თავმჯდომარემ პოლიციის 1 ნაწილში დაათვალიერა ხორცის დუქნები და აღმოჩნდა, რომ ყასბები ბეითლების შეუმოწმებლად ჰყიდიან ხორცს. თავმჯდომარემ ეს ამბავი გამგეობას აცნობა და სთხოვა იღონოს რამ ამის შესახებ.

◆ ტებულის შტოზე ზვავი ჩამოწვა. ამ ზვავის გაწმენდას სამ დღეს მოუნდებიან.

◆ 1903 წლის 1 ივნისიდან მდგომარე წლის 1 იანვრამდის ტფილისის ქუჩების დაგებაზედ დახარჯულა 530,000 მანეთი. აქედან დაიხარჯა: ქვაზედ 332,000 მან., მაშინებზედ 168,000 მან., მოსამსახურეებზედ—22,000 მან., ქუჩების მოსაკირწლავად გადადებული იყო 600,000 მან., გადარჩა 70,000 მან.

◆ ქალაქის წყლის მილის მოხელე-მოსამსახურეებმა ავჭალაში ტფ. ქალაქის გამგეობას თავიანთ მდგომარეობის გამაუმჯობესებელი მოთხოვნილებანი წარუდგინეს. თხოულობენ: 1. მიეცეთ მათ 2 თვის ჯამაგირისოდენა საჩუქრად, რადგან საყოველთაო გაფიცვის დროს ისინი განუწყვეტლივ მუშაობდნენ და ამასთან ყოველივე სანოვაგე ისე გაძვირდა, რომ ცხოვრება უჭირთ; 2. დააჩქარონ საბჭოში მათის განცხადების განხილვა ჯამაგირების მომატების შესახებ; 3. მიეცეთ იარაღი ანუ თითოს 25 მან. რევოლვერების შესაძენად, რადგან მათი მდგომარეობა საშიშია; 4. კვირა-უქმეებში მუშაობისათვის ერთი ორად მიეცეთ ჯამაგირი; 5. გაუმჯობესებულ იქმნას სადგომი სახლები; 6) დაზღვეულ იქმნეს მოხელე-მუშათა სიცოცხლე რაიმე უბედურების დროს მათ სახლობათა უზრუნველ-საყოფელად და სხვა. ამ მოთხოვნილებათა განსახორციელებლად საჭიროა სულ 30,000 მანეთი.

◆ როგორც ახალციხიდან გვატყობინებენ, ვილაცებს მოუკლავთ ახალციხის ტყის „აბეშჩიკი“ მოლილა-მადატ-მუდად-ოღლი.

◆ 9 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის მცხოვრების დ. სუკიასოვისა და ბალდასაროვისა, რომელთაც 1905 წელს მეეზოვეს მუსულმანის მოკვლა ჰბრალდებოდათ. 1905 წელს 26 აპრილს, ავჭალის ქუჩაზე ყულუმბეგოვის ეზოში ალექსანდრე სულხანოვს შეუნიშნავს ბოჩკებთან ცხვირსახოცში გამოხვეული ქუდი. ცხვირსახოცში აღმოჩნდა აგრეთვე გახვეული ნაწილი კაცის ტვინისა და თავის ქალასი. როგორც პოლიციის გამოძიებით გამოირკვა, ეს ქუდი ეკუთვნოდა მეეზოვე ალი-ავდამ-ოღლის, რომელიც დათა დავიდოვის სახლში იყო მეეზოვედ. 26 აპრილს სარუხანოვის სახლის მეზოვესთან მისულა სამი კაცი და უთქვამთ, ნომერი ჩამოიხსენი, თორემ შენც ისე მოგკლავთ, როგორც ალი მოვკალითო, რადგან იგი ჯაშუშობას ეწეოდა, ყაზახებს წინ უძღოდა და აპერინებდა ხალხსო და სხვა. ამის შემდეგ ამხანაგებმა პირზე ხელი დააფარეს მოლაპარაკეს და წაიყვანეს. მეზოვემ მარტომ ეს ამბავი შეატყობინა უბნის ზედამხედველს, რომელიც შეუდგა მკვლელთა აღმოჩენას. პოლიციის გამოძიებით, ალი მოუკლავთ 25 აპრილს სუკიასოვის სახელოსნოში, სადაც ალი შეეყვანა სუკიასოვს ერთ ნაცნობს. სუკიასოვს თავში ნაჯახი დაუკრავს

ფელეტონი

რუსეთის ცხოვრება

რევოლიუციის დაბოლოვება.—არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში.—17 ოქტ. მანიფესტის მნიშვნელობა ბიუროკრატიისთვის.—ბიუროკრატიულ წრეებში.

საშინელი ტრაგედია მოსკოვისა გათავდა; გათავდა ის ჟლეტა-ხოცვა, ის ვნებათა გამწვავება, რომლის მსგავსი ისტორიამ ბევრი არ იცის. მაგრამ არ გათავებულა ჯერ მისი შედეგი. როგორც ძლიერი ტალღა, რომელიც აღიმართება და ქუხილით განირთხება ხოლმე ზღვის ზედაპირზე და რომელზედაც დიდ ხანს არჩენს თავის კვალს, ისე ეს ტალღა საშინელის სისხლის ღვრისა. ჯერ კიდევ დღესაც თრთის რუსეთი იმ დამამშვიდებელთა შიშით, რომელნიც გულდად ებრძოდნენ რევოლიუციონერთა ჯგუფს და არ ნანობდნენ ტყვია წამალს ხალხის სახლების დასანგრევად და ქუჩაში გამვლელთა დასახოცად. აღელვებული ვნება ჯერ კიდევ არ დამცხრალა და ამბავი ამბავზე მოდის რევოლიუციონერთა დახვრეტის შესახებ. გაზეთების სიტყვით, სია დასახვრეტ პირებისა მოსკოვიდან წაუღიათ. პირველად თვით რაზმის უფროსმა ოფიცერმა დახვრიტა ამ სიაში აღნიშნული ერთი პირი. ეს იყო გლეხი კისელევი. აფიცერმა ხმა-მაღლა წაიკითხა გვარი ამ გლეხისა. კისელევი წინ წამოდგა. აფიცერმა ამოიღო რევოლვერი. კისელევი მიხვდა ყველაფერს და შეევედრა, ნუ მომკლავთ, ოჯახის პატრონი ვარ, სასამართლომ გაარჩიოს საქმეო. აფიცერმა ორჯერ დაახალა რევოლვერი და იქვე მოჰკლა. დანარჩენი მუშები სადგურზე წაიყვანეს, თან წაჰყვნენ აფიცრებიც. იქ აფიცერმა იმავ სიით რამდენიმე კაცი წინ წამოაყენა. სულ 8 მუშა იყო. იქვე მიიყვანეს რკინის გზის სადგურის უფროსის თანაშემწე. ამ 9 კაცს აფიცერმა უთხრა: თქვენ ეხლავ დაგხვრეტენო. დანარჩენნი გაუშვა. ერთმა მუშამ სთხოვა, ნება მომეცით წმიდა საიდუმლოება მივიღოო. სალდათებმა ეს 9 კაცი წაიყვანეს და დააყენეს რკინის გზის ლიანდაგის იქით, სასაფლაოს მახლობლად და იქ დახვრიტეს. სამხედრო ადმინისტრაციამ სოფლის მამასახლისს უბრძანა, წაეღო დახვრეტილთა გვამები. მამასახლისმა ესენი ერთ სასაფლაოში ჩაჰყარა. ამბობენ, დასახვრეტად დანიშნულთა სია მოსკოვის საიდუმლო პოლიციის მიერ იყო შედგენილიო.*)

საზოგადოება დაჟინებით თხოულობს პასუხს იმ კითხვაზე, თუ რა კანონის ძალით ხდება ეს საქმე? სად სწარმოებდა სამართალი დახვრეტილ პირთა შესახებ? პასუხი არსაიდან ისმის. თვით გენერალი დუბასოვიც კი სდუმს, თუ ამ კითხვის პასუხად არ ჩავთვალეთ იმის განცხადება, რომელშიაც ამართლებს ჯარის „სასტიკ“ საქციელს რევოლიუციონერთა სიმკაცრით და დაუნდობლობით. საზოგადოების აზრის უყურადღებოდ დატოვებასაც არა კმარობს ადმინისტრაცია. იგი კიდევ მეტსაც სჩადის: პროგრესსიულ გაზეთებს მოსკოვის ამბებზე არაფერს ალაპარაკებს. გაზ. „ნ. ხ.“ ყურადღებას აქცევს იმას, რომ მოსკოვის გაზეთებში, მაგ. „რუს. სლ“.-ში, რომელშიც ყოველთვის საინტერესო მასალაა ხოლმე, ეხლა საშობაო ნომერში მოთხრობების მეტი არა იყო რა. მხოლოდ „მოსკოვ. ვედომოსტები“ უძღვნის ქება-დიდებას „მოსკოვის დამცველთ“ და ამისთვის ლექსიც-კი შეუთხზავს. საზოგადოდ იმის შიშით, რომ მოსკოვის ამბებზე რასმე იტყვიანო, ადმინისტრაციამ აკრძალა ყოველივე კრება, რომელიც ამას წინად ნება-დართულ იყო. თავისუფლად იკრიბება მხოლოდ ესრეთ წოდებული „17 ოქტომბრის კავშირი,“ რომელიც ამ ბოლო დროს საზოგადოდ უპირატესობით სარგებლობს. საინტერესოა, ამ საქმეში როგორღა გაიმართლებს თავს მოსკოვის „მამაცი“ ადმინისტრაცია. რომ პირველი თავის მართლება ფუჭია, ეს თუნდა წერილებიდანაც სჩანს, რომელიც მისდის მოსკოვის ქალაქის თავს გუჩკოვს. ერთ ამ წერილში სტუდენტი აღწერს თავის თავგადასავალს: გზაზე ღამე ამ სტუდენტს დრაგუნთა პატრული დაჰხვედრია და სრულიად უმიზეზოდ რევოლვერი მიუღვია. „ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა,—ამბობს წერილის ავტორი. ბედზედ, თავში მომივიდა, დრაგუნებისათვის ფული მეთავაზებინა.“ ამათ სიხარულით გამოურთმევიათ ფული და „ტყვე“ გაუნთავისუფლებიათ. საუკეთესო პასუხი ადმინისტრაციისა და იმის საქციელის ახსნა შემდეგ საინტერესო განცხადებაშია: (ეს განცხადება პოდპოლკოვნიკ იარლოვსკის კაუკვრეინებია სადგურ სიზრანში): „მე, ჯარის მიმოსვლის გამგე, გთხოვთ მიიღოთ სასტიკი ზომები. ტყვია და ხიშტი უნდა სრულ მოქმედებაში იყოს და ყურადღება არ უნდა მიაქციოთ შედეგს, თუ ვინმე აგიტატორი ლიანდაგზე მოვა. თუ ხელოსნებს დეპოდან ორთქლ-მავალი არ გამოჰყავთ, თოფები დაუშინეთ. სალამოსთვის უეჭველად უნდა განახლდეს მიმოსვლა რკინის გზაზე. კიდევ ვიმეორებ, ტყვია და ხიშტი სრულ მოქმედებაში იყოს. მემანქანეთ, რომელნიც სახაზინო სადგომით სარგებლობენ, სამჯერ მიეცით წინადადება, ატარონ მატარებლები, თუ მაინც უარი სთქვეს, იქვე მოკალით. მისი ოჯახობა კი სადგომიდან გამოაგდეთ.“

მგონია, ამას ახსნა არა სჭირდება. კითხულობ და ფიქრობ მხოლოდ: ღმერთო, სიზმარი ხომ არ არის ყველა ესაო. ან იქნება მეოცე საუკუნეში კი არა, რომელსამე მეხუთე-მეექვსე საუკუნეში ვცხოვრობთ? ეს კია, რომ მეტად გულ-ახდილი კაცი უნდა იყოს ბ-ნი იაპლონსკი, ყველა უფროსი არ არის გულ ახდილი. ხანდახან რუსეთის ბიუროკრატიამ ეშმაკობაც იცის. ასეთი ეშმაკობა იხმარა მან სევასტოპოლის მეამბოხეთა მოთავის შმიდტის საქმეში. სცადეს, რომ შმიდტი შეშლილად გამოეყვანათ. ალბად, ამით უნდოდათ მისთვის გმირობის შარავანდედი მოეხსნათ ხალხის თვალში სევასტოპოლის მოძრაობა დაემდაბლებინათ. მაგრამ ვერ მოახერხდა. ეხლა შმიდტი კერჩშია და იმის საქმეც იქ არის გადატანილი. იქვე გაირჩევა „ოჩაკოვის საქმეც. სულ 260 მატროსია სამართალში მიცემული. შმიდტისთვის ჩვენება ჩამოურთმევიათ კიდეც. სხვათა შორის, მას უთქვამს: „თქვენ გინდათ შეშლილად გამომიყვანოთ. თუ ასეა, ეხლა ჩემისთანა შეშლილი რუსეთში ასი მილიონი უნდა იყოსო.“

**

ასე სთვლის რუსეთის ბიუროკრატია 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებულ თავისუფლებებს და თან კი ეშინიან იმისა, რომ ხალხი მართლაც თავისუფლებების თვლას დაუძახებს იმის საქციელს. ამიტომ ერთის ხელით რომ სპობს ყოველ თავისუფლებას, მეორე ხელით განცხადებებს სწერს და აუწყებს ყველას, რომ ეს დროებითი ზომებია მხოლოდ, რომ მთავრობა ამით მხოლოდ 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძვლის გამაგრებას სცდილობს, სცდილობს სახელმწიფო სათათბიროს შეკრებას და სხვა. დიაღ, მაგრამ სიტყვა სიტყვაა და საქმე სულ სხვაა. ამგვარის ლათაიებით არავინ მოტყუვდება. წავიდა ის დრო, როდესაც ოფიციალური განცხადებები სჯეროდა ხალხს. მართლაც და რა დასაჯერებელია ასეთი ლათაიები, როდესაც კარგად ვიცით, რომ სახელმწიფო სათათბიროს მოსაწვევად არჩევნები უნდა მოხდეს, ხოლო ბრძოლის საიასპარეზოში გადასატანად საჭიროა არჩევნებისა და აგიტაციის თავისუფლება; სადაც ეს არის, იქ ლაპარაკიც კი არ იქნება პარლამენტარულ ბრძოლაზე. მერე ამ მხრით რა ზომებს ხმარობს ადმინისტრაცია? უშლის თუ არა თავისუფალ არჩევნებს სამხედრო და გაძლიერებულ დაცვის წესები? რა თქმა უნდა, უშლის და ძალიანაც უშლის. მოგეხსენებათ, 11 დეკემბერს ახალ არჩევნების კანონი გამოვიდა, რომლის ძალითაც არჩევნების მონაწილეთა წრე ფართოვდება. იმათი სია, ვისაც 6 აგვისტოს საარჩევნო კანონით უფლება ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, უკვე შედგენილია. დანარჩენებისა-კი (ე. ი. იმათი, ვისაც ახალის კანონით ეძლევა უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა), ჯერ შედგენილი არ არის და საფიქრელია, რომ ვერც შესდგება. მიზეზი ამისი არის ის, რომ დამატებით არჩევნებისთვის განცხადებითი წესია შემოღებული. ეს იმასა ნიშნავს, რომ ამომრჩეველთა სიაში მხოლოდ ისინი იქნებიან შეტანილნი, ვინც თვითონ გამოაცხადებს სურვილს. ამას უნდა ისიც დავუმატოთ, რომ განცხადებისათვისაც ვადაა დანიშნული, 3 იანვარი. ვინც რუსეთში 3 იანვრამდის ვერ წარადგინა განცხადება და ამასთან ერთად ქაღალდები არჩევნებში მონაწილეობის უფლების დასამტკიცებლად, ის გარედ დარჩება. რა თქმა უნდა, ეს წესი არა თუ აფერხებს არჩევნების ახალ კანონის განხორციელებას, არამედ არარად ჰხდის და 6 აგვისტოს კანონის მეტს სხვას ყველაფერს ზღუდავს; რა შუაშია მერე სამხედრო წესები? იტყვის მკითხველი. იმ შუაშია, რომ ამ კანონის არსებობა ჩვეულებრივ დროს ისე არ შეუშლიდა ხელს არჩევნების საქმეს, როგორც ეხლა, როდესაც სამხედრო წესებია თითქმის

---

*) იხ. გაზ. „მოლვა“.

და მოუკლავს. ამ მკვლელობის შემდეგ სუკიასოვი გადაიმალა, და იგი მხოლოდ 23 მაისს დააპატიმრეს ბათუმში. დაჭერის დროს სუკიასოვმა უნდის ზედამხედველის პაცაკოს მოკვლა განიზრახა, რისთვისაც კავკასიის სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. სუკიასოვმა და ბალდასაროვმა თავი დამნაშავედ არ იცნეს მეეზოვის ალის მოკვლაში. სასამართლომ სუკიასოვს გადაუწყვიტა ერთის წლითა და 6 თვით საპყრობილეში დაპატიმრება, ხოლო ბალდასაროვი გაამართლა.

◆ ტფილისის დიდმა მემამულემ კნ. ე. ა. მუხრან-ბატონისამ თავის სახლის მდგმურებს მადათოვის კუნძულზედ დაუკლო 40% ქირის ფული [illegible] თვე, ხოლო დეკემბრის ქირა სრულებით აპატია. ურიგო არ იქნება, სხვა სახლის პატრონებიც ასე მოიქცნენ.

◆ 11 იანვარს, ღამე, როგორც აღსტაფიდან გვატყობინებენ, რკინის გზის მე-384 ვერსზე შეიარაღებული ბრბო თავს დასცემია მუშების ყაზარმას, გაუძარცვავს მომუშავენი და გაურეკია შინაური საქონელი.

◆ ტფ. საბჭოს ხმოსანმა ნ. ყარამურზამ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ხმოსნობას თავს ანებებს.

პრესსა

გაზეთი „მოლვა“ სწერს მოსკოვში მომხდარ აჯანყებისა და აკლების შესახებ:

მოსკოვში მომხდარ ამბების შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ მთავრობისაგან არავითარი განცხადება არ არის; არც იმ ცნობის უარყოფაა, რომელიც გაზეთებში იბეჭდებოდა. ასეთი განცხადება საჭირო-კი არის, რადგან გაზეთებში ბევრი ბრალდება იყო. მაგალითად სწერდნენ:

— ჯარებმა დახვრიტეს ისეთებიც-კი, რომელთაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ შეიარაღებულ აჯანყებაშიო.

— დახვრიტეს ისინი, ვინც შეტანილი იყო რაღაც სიებში, რომელიც, როგორც ამბობენ, „ოხრანა“-მ შეადგინაო; არც გასამართლება, არც გამოძიება არ ყოფილაო;

— ლიუბერცევის ნაწილის მცხოვრებნი ამტკიცებენ, რომ პირველი კაცი თვით იმ შტაბ-აფიცერმა დახვრიტა, რომელიც ჯარს უფროსობდაო.

მთავრობა ოფიციალურ სადეპეშო სააგენტოების შემწეობით ეკამათება გაზეთებს იმის შესახებ, თუ რა და როგორ სთქვა გრაფ ვიტტემ, მაგრამ ხმას არ იღებს ისეთ ამბებზე, რომელიც დიდათ აინტერესებს მთელს რუსეთს და რომელზედაც გაჩუმება შეუძლებელია.

თუ მართალია, რომ დახვრეტის დროს ხელმძღვანელობდნენ „ოხრანა“-ს სიებით, სადაც ჩარიცხულია არა მარტო მომქმედი რევოლიუციონერები, არამედ ყველა, ვისაც „მავნე მიმართულების“ კაცად სთვლის პოლიცია, მაშინ დახვრეტა დასჯად-კი არ ჩაითვლება, არამედ პირდაპირ მოკვლად. თუ ასეა, მაშინ საჭიროა დაუყოვნებლივ გამოძიებულ იქმნას მთელი მოსკოვის „საქმე“, რათა დამნაშავენი აღმოჩენილ და სასტიკად დასჯილ იქმნან. საზოგადოება თხოულობს ამას და უფლებაც აქვს მოითხოვოს. მთავრობის სიჩუმეს ცუდათ გაიგებს ხალხი, რაც მთავრობისათვისვე იქნება მავნებელი და საშიში...

გაზეთ „ნაროდნ. ხოზ.“-ს მოჰყავს „მოლვა“-ს ეს წერილი და თავის მხრით დასძენს:

იმ სიტყვის შემდეგ, რომლითაც ადმ. დუბასოვი ახალ წელიწადს მიეგება და რომელშიაც მსმენელთ არწმუნებდა, ვითომც უზენაესი სიმართლე თხოულობდა მსხვერპლს და შემდეგშიაც მოითხოვსო, როგორ განცხადებას უნდა მოველოდეთ მთავრობისაგან. ალბათ, უდანაშაულო ადამიანთა დახვრეტასაც იმით ახსნის მთავრობა, რომ ამას „უზენაესი სიმართლე“ მოითხოვდაო.

**

ამავე ამბის გამო სამართლიან შენიშვნას ვკითხულობთ ახალ სამხედრო გაზეთში „ვოენნი გოლოს“. მოსკოვის ამბებს არ ამჟღავნებენო, ამბობს გაზეთი და თავს იმით იმართლებენ, ვითომ ჯარის პრესტიჟს ჩირქი მოეცხებაო. ჩვენის ფიქრით კი, განაგრძობს გაზეთი,

მხოლოდ გამოძიება და სასტიკი სამართალია საჭირო ათასგვარ მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცდენად. თუ ჯარი უკანონოდ და ცუდათ იქცეოდა, დეე დამნაშავენი სასტიკად დაისაჯონ; მაშინ დანარჩენ მხედრობას ჩირქი არ წაეცხება და ჯარშიაც დაცული იქნება ეხლა ნაკლებად დაცული სამხედრო დისციპლინა. რაც შეეხება განუსამართლებლად სიკვდილით დასჯას, რასაც ახლა სჩადიან სამხედრო გენ.-გუბერნატორები და ჯარები, ასეთს ფაქტს ხალხი ვერ შეურიგდება, სინიდისი წინააღმდეგია ასეთის უსამართლოებისა. დღევანდელს პირობებში, პირიქით, საჭიროა სრული ამნისტია, სრული პატიება და დავიწყება ყოველგვარ პოლიტიკურ დანაშაულობისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილს დაიჭერს შურისძიება და რუსეთში გამეფდება ისევ წითელი ტერრორი. ეს-კი ხელს არ შეუწყობს მშვიდობიანობის დამყარებისა და სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის საქმეს.

მიტინგებზე

თელავი. 9 იანვარს დილიდანვე სამგლოვიარო ფერი დაედო თელავს: დუქნები ყველგან დაიკეტა, სამგლოვიარო ბაირაღები იყო ქუჩებში ორსავე მხარეს, ხალხი დილითვე იკრიბებოდა ქუჩებში, ყველანი დაღვრემილები დადიოდნენ, სოფლებიდანაც ნელ-ნელა მოდიოდნენ გლეხები. ყველაფერი ჰმოწმობდა, რომ დიდ-ძალი ხალხი უნდა შეკრებილიყო, მაგრამ 11 საათზე ხმა გავარდა, რომ ყაზახები უეჭველად სროლას აუტეხენ შეკრებილ ხალხსაო. ხმა უცებ მოედო თელავსა და ახლო-მახლო სოფლებს, რის გამოც მრავალი უკვე გამოსული ხალხი დაიშალა. მიზეზი ამ ხმის გავრცელებისა იყო რჩევა, რომ ხალხი წყნარად და ფრთხილად მოქცეულიყო და თვის მიზეზით არა გამოეწვია-რა.

ამის მიუხედავად კიდევ საკმაო ხალხი შეიკრიბა, რომელსაც მიუძღოდა განმათავისუფლებელი და სამგლოვიარო დროშები ორ მომქმედ პარტიისა. წინა დღეს შეთანხმებულიყვნენ ს.-დემოკრატებისა და ს.-ფედერალისტების პარტიათა წარმომადგენელნი. გაიარა ხალხმა სამგლოვიარო და განმათავისუფლებელ სიმღერებით თელავის დიდი ქუჩა და რიყის პირა მოედანზე გაიხსნა მიტინგი. ილაპარაკეს ორსავე პარტიის წარმომადგენლებმა. შემდეგ გაიარა ხალხმა იმავე სახით ქუჩა და ბაზარი და სომხების სობორის წინ მოედანზე გაიმართა მიტინგი: აქაც მრავლად ილაპარაკეს ორისავე პარტიის წარმომადგენლებმა. ორ საათზე მშვიდობით დაიშალა ხალხი.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ყველას სასიამოვნოდ ეჩვენა ამ ორ პარტიის შეთანხმება, რადგან მათი შეუთანხმებლობა იწვევდა გამწვავებულ დამოკიდებულებას და გაუთავებელ კამათს ერთისა და იმავე საგნზე, თითქმის ერთისა და იმავე წინადადებათაგან შემდგარს, რითაც მსმენელთ თავი ჰქონდათ მობეზრებული. თუმცა ძალიან ეჭვი გვაქვს, რომ ეს შეთანხმება ხანგრძლივი იყოს, თუმცა ეს ხანგრძლივობა სანატრელი თუ არა, დიდად სასურველია, მაგრამ მაინც არა გვჯერა ხანგრძლივობა, რადგან შეუთანხმებლობის მიზეზი იდეია-კი არ არის, არამედ კერპთთაყვანისმცემლობრივი თავმოყვარეობა.

საზოგადოდ, მიტინგებზე ერთი თვალსაჩინო ნაკლულევანება მუდამ თანა სდევს ორატორებს — ყველანი ერთსა და იმავეს იმეორებენ. ნუ თუ არ შეიძლება წინასწარვე შეთანხმებით საგანი სხვა და სხვა მხრიდან გააცნონ მსმენელებს და ერთსა და იმავე აზრის სხვა და სხვა სიტყვებით ღეჭვა მოაშორონ, შეიბრალონ მსმენელნი და მეტად აღარ გამოსცადონ მათი მოთმინება.

დამსწრე.

გარე-კახეთის ვითარება

რეაქციის გამარჯვებამ ძალიან შეაწუხა აქაური ხალხი, გული მოუკლა პროგრესიულ ელემენტებს. სამაგიეროდ ფრთები შეასხა და გული გაუხალისა იმათ, ვინც წინააღმდეგი იყო განმათავისუფლებელ მოძრაობისა. უკანასკნელთ ხმა აიმაღლეს, თავიანთ გულის წადილს აღარ ჰმალავენ და აღარც ეშინიანთ. აქამდის თითქოს ეშინოდათ ახალთაობისა, მაგრამ დღეს კი დაგუბებულს ბოღმას ვეღარ იტევენ გულში, მხამედ ანთხევენ, საზოგადოებას ჰრევენ, უსიამოვნებას იწვევენ, წყალს ამღვრევენ, რომ თევზი დაიჭირონ ისევ ისე, როგორც აქამდის უჭერიათ. მხოლოდ ავიწყდებათ, რომ წყლის ამღვრევა კი შეიძლება მოახერხონ დროებით, რადგან ხალხის შეუგნებლობა ხელს უწყობს მათს უპატიოსნო სურვილს, მაგრამ თევზის დაჭერას ვეღარ ეღირსებიან: დრო იმდენად შეიცვალა, ხალხი იმდენად მაინც არის გაგებული, რომ ხალხის ჭამიები ვეღარ გაისუქებენ ჯიბეს სხვის ნაოფლარით. ზემოხსენებული თითქმის უკლებლივ შეეხება ყოველს სოფელს გარე-კახეთისას და მათს საზოგადო მდგომარეობას.

ამ ბოლო დროს ხმა გავარდა გარე-კახეთისაკენ ყაზახებს ჰგზავნიან ეგზეკუციადაო. ხალხი შეკრთა, მეტადრე ის ნაწილი, რომელიც უფრო ძველის წესწყობილების მომხრეა. ისინი თავიანთ ტყავს უფრო უფრთხილდებიან, ვიდრე საზოგადოებას. დაუხვევიათ ეს ამბავი ხელზე და სულ იმას გაიძახიან: აბა, რომ ასტუდით ახალი თაობა ეს გინდოდათ, რომ ეხლა სულ უნდა აგვიკლონ და აგვაწიოკონო; სულ თქვენი ბრალიაო. თუმცა ამ ერთობის წყალობით იმათ უფრო მეტი ისარგებლეს, ვიდრე სხვებმა, მაგრამ როცა პასუხის გების დღე დადგება, მაშინ კი ეგრე გარეთ იწევენ და სხვებზე უთითებენ, ჩვენ რა, ეგენი იყვნენო. ხალხს უფრო იმიტომ ეშინიან, იმიტომ უფრთხის ეგზეკუციას, რომ ქართლის ამბები თავზარსა სცემს.

მთავრობასაც, როგორც ამბობენ, უპირებია მართლაც აქეთკენ ყაზახების გამოგზავნა, მაგრამ მერე გადაუფიქრია სხვა და სხვა მოსაზრებით. ამ ეგზეკუციის გამოგზავნის მიზეზი ყოფილა ის, რომ რამდენსამე კაცს უჩივლია, თოფები წაგვართვესო, იარაღი ჩამოგვართვესო და სხვა. აქედან გადასულან, გაუზვიადებიათ, რომ გარე-კახეთის სოფლები სულ შეიარაღებულია, მილიციები ყველა სოფლებში და ქალაქს თავს დაცემას უპირებენ, განსაკუთრებით არსენალსაო. აი ამნაირი და უფრო ამაზედ უცნაური ხმები ყოფილა გავრცელებული მთავრობის წრეებში გარე-კახელთა შესახებ და ამას გამოუწვევია ეგზეკუციის გაგზავნის განზრახვაც.

მაგრამ მთავრობას, როგორც ვთქვით, გადაუდვია თავისი განზრახვა ჯერ-ჯერობით და აზამბურზედ მდგარ ყაზახთა ერთი სოტნაც-კა, მგონი, ყარაიაზედ გადაუყვანია.

მთელი ივრის ხეობა სცდილობს ერთმანეთში ძმური კავშირი იქონიოს, ქართველი, თათარი და სომეხი ერთობის სახელით მოქმედებენ. ამის გამო იმართებოდა ხოლმე მიტინგები და კრებები სხვა და სხვა სოფლებში.

რუსეთი

არჩევნები და პარტიების მოქმედება. მოსკოვში ხმა გავარდა, რომ ვადა ამომრჩეველთა განცხადებების წარდგენისა პეტერბურგში გადასდეს სამის კვირით. ქალაქის თავი გუჩკოვი ამის შესახებ მთავრობას შეეკითხებია.

საგუბერნიო საერობო საბჭოში კრება ჰქონიათ საკონსტიტუციო - დემოკრატულ პარტიის წარმომადგენელთ. სხვათა შორის, კრებაზე პარტიის ერთმა წევრმა წაიკითხა მოხსენება პარტიის მოქმედებაზე. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ მაზრებში პარტიის საქმე ჯერ კარგად მიდიოდა; მერე კი, როდესაც რეპრესსიები დაიწყო, საქმე ძლიერ შეფერხდა. „17 ოქტომბრის კავშირ“-ისთვის, როგორც ვიცით, ამ რეპრესსიებს ხელი არ შეუშლიათ რაც შეეხება სოციალისტურ პარტიებს, ისინი ეტყობა საბოლოოდ უნდა გამოეთხოვონ ფიქრს არჩევნებზე გავლენის შესახებ, რადგან არსად ჯერ არც ერთი ნებადართული კრება არ გაუმართავთ.

ვარშავაში პარტიების უმეტესობა წინააღმდეგია სახელმწიფო სათათბიროსი, რადგან, მათის აზრით, სამხედრო წესების დროს არჩევნებს არავითარი აზრი არა აქვს. ვარშავის კავშირთა კავშირს და პროგრესსიულ-დემოკრატიულ პარტიას განუცხადებიათ, რომ, ვიდრე 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებული თავისუფლებების გარანტიას არ მივიღებთ, მოქალაქეთ არ უნდა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობაო. სოციალისტურ პარტიებს გადაწყვეტილი აქვთ ბოიკოტი გაუწიონ სახელმწიფო სათათბიროს. (ნარ. ხოზ.).

გაზ „ნარ. ხოზ.“-ს ანგარიშით პეტერბურგში არჩევნების სიაში ჩაწერილია სულ 22,636 კაცი. 6 აგვისტოს კანონის ძალით ჩაწერილთა რიცხვი კი იყო 5710.

იგივე გაზეთი გვატყობინებს, რომ „უფლებრივ წესრიგის“ პარტიას განუზრახავს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების კანდიდატთა შორის რამდენიმე მუშაც წამოაყენოს. იმათ საჭიროდ მიაჩნიათ, სათათბიროში იყოს მუშათა წარმომადგენელი, რომ აუწყოს ხოლმე სათათბიროს მუშათა საჭიროებანი. ეს ალბად პარტიას იმიტომ განუზრახავს, რომ სათათბიროს მეტი ნდობა ჰქონდეს ხალხის თვალში, ნამდვილად-კი ისევ ისეთივე სათათბიროდ დარჩეს, როგორიც იქნებოდა მუშათა წარმომადგენლების დაუსწრებლად, რადგან რამდენსამე წარმომადგენელს მნიშვნელობა არ ექნება.

ნეიდგარდტის საქმე. როგორც „რუს. ვედ.“ შეუტყვია, ოდესსის გრადონაჩალნიკად ნამყოფ ნეიდგარდტის საქმე სენატორ კუზმინსკის მოხსენებით სენატში გაირჩევა. ნეიდგარდტს აბრალებენ იმას, რომ მან ოდესსაში აკლების ჩასაქრობად საჭირო ზომები არ მიიღო.

ახალი კომისია. 15 იანვრამდის დაიწყობს მუშაობას ის კომისსია, რომელსაც გლეხთა ნადელების გაფართოვების საქმე აქვს ჩაბარებული. ზოგი გუბერნიაში კომისსიის აზრით სახელმწიფო მიწები კმარა გლეხების დასაკმაყოფილებლად; ზოგიერთში-კი სახელმწიფო მიწა ძლიერ ცოტაა.

ერთი სამინისტროს „ნაშრომი“. გაზ. „მოლვა“-ს გამოუქვეყნებია შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაშრომი ერთის კვირის განმავლობაში, 11 დეკემბრიდან 19-მდე. ამ ერთ კვირაში აღნიშნულ სამინისტროს გამოუცხადებია 11 სამხედრო დროის, 6 საგანგებო და 5 გაძლიერებულ დაცვის წესები. ეს არის მოღვაწეობა სამინისტროსი.

გულმოდგინე მოხელე. როგორც ოდესსიდან გაზ. „ნოვოსტ“-ს ატყობინებენ, ადგილობრივ გენერალ-გუბერნატორს ყარანგოზოვს გამოუცია ბრძანება, რომ 12 იანვარს სასწავლებლებში უსათუოდ განახლებულ იქნას სწავლაო. წინააღმდეგ შემთხვევაში გენერალი რეპრესსიებით ემუქრება მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს. ამ ბრძანებამ ყველა გული აუმღვრია. მშობელთა უმრავლესობა ამ ბრძანების შემდეგ შეუძლებლად და საშიშრად სცნობს ბავშვების სკოლაში გაგზავნას.

რეპრესსიები. 4 იანვარს ღამე პეტერბურგში დაიჭირეს პირველი ნომერი სატირულ ჟურნალის „გვოზდ“-ისა; 6 იანვარს დაიჭირეს რამდენიმე ათასი ნომერი პოლიტიკურ-სატირულ ჟურნალის „ზაბიაკ“-ისა. მრავალი სტამბა იკეტება, რის გამოც ბევრი მუშა რჩება ულუკმა-პუროდ.

ქ. ტამბოვში გუბერნატორის მოადგილის მკვლელების საქმე ირჩეოდა. ბრალდებულთ იცავდა ვექილი კალმანოვიჩი. არც აუღიათ, არც დაუღიათ და საქმის გარჩევის დროს ვექილი დაუპატიმრებიათ.

კრონშტადტში ხმა დადის, რომ შავი ზღვის ფლოტის 70 აფიცერი სამართალში მისცეს იმ რეზოლიუციისათვის, რომლითაც მათ დაჰგმეს უმაღლესი საზღვაო მართებლობა. ამ აფიცრების ალაგას ბალტიის ფლოტის აფიცრები დაუნიშნავთ.

ვასილიევის კუნძულზე არსებული მუშათა სასადილო ადმინისტრაციას დაუხურავს. გრადონაჩალნიკის განკარგულებაში შემდეგია ნათქვამი: „სასადილო მაშტაკოვისა, რომელიც მუშათა შორის პროპაგანდისათვის არის გახსნილი, იკეტება ჩემის განკარგულებით“ დაკეტამდე სასადილო გაჩხრიკეს.

მინისტრთა საბჭოში. 3 იანვარს მინისტრთა საბჭოს კრებაზე რამდენიმე საყურადღებო საკითხი განუხილავთ. ამ კრებაზე, სხვათა შორის, დურნოვოს უთქვამს, რომ მე არავითარი განკარგულება არ გამომიცია რევოლიუციონერების სიით დახვრეტის შესახებაო. იმის სიტყვით, ჯარმა ამაზე პასუხი თავის მთავრობის წინაშე უნდა აგოს და არა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე. მაგრამ მინისტრი მაინც ფიქრობს, რომ

მთელ რუსეთში. საზოგადოებას რომ შეეძლოს დიდი მხნეობა გამოიჩინოს, კრებები მართოს, აგიტაცია სწიოს ზეპირ—სიტყვით და გაზეთის შემწეობით, ეს შემზღუდავი კანონი, როგორც იქნებოდა, დაიძლეოდა. ეხლა-კი საზოგადოებას ხელ-ფეხი აქვს შეკრული. პარტიების კრებები იხურება: მოსკოვში ამას წინად მთელი კომიტეტი დაუტუსაღებიათ ს. დემოკრატიის პარტიისა. ასე გასინჯეთ, კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიასაც-კი არ აძლევენ კრებების გამართვის ნებას.

არავინ ზღუდავს, როგორც ზემოდ ვთქვით მხოლოდ ორ კონსერვატიულ პარტიას, „17 ოქტომბრის კავშირის“ სახელით შეერთებულს. ამ პარტიების განსაკუთრებული მდგომარეობა იქამდის მივიდა, რომ მათ შერცხვათ თავიანთ თავისა, წარმომადგენლები გაგზავნეს ვიტტესთან და სთხოვეს, არ აეკრძალა კრებები. ვიტტეს წარმომადგენლებისთვის უპასუხნია: „ნუ გეშინიანთ, თქვენ არავინ არ დაგიშლით კრებების გამართვასაო“. და ამის შემდეგ პარტიამ მაინც გამართა კრებები და დიდი მხნეობაც გამოიჩინა. პეტერბურგში ამომრჩეველთა სიის შედგენაში გაზ. „ნ. ხ.“-ის სიტყვით, ამ პარტიას გაუმარჯვნია კიდეც. გაზეთი ამას იმითი ხსნის, რომ დღემდის ყველაზე მეტი საქმიანობა ამ პარტიამ გამოიჩინა. მართალიაც პარტიები სხვა და სხვა ქალაქებში ჰმართავენ კრებებს, აარსებენ კომიტეტებს. ამ პარტიის კომიტეტების რიცხვი დღითი დღე მრავლდება; „ნ. ხ.“-სა არ იყოს, შემდეგშიაც ასე წავა საქმე, თუ მემარცხნე პარტიებმაც არ დააარსეს კავშირი და არ შეთანხმდნენ არჩევნების დროს მაინც. ეს კია, სულერთია, თუ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გასტანს, გამარჯვება არჩევნებში მაინც „17 ოქტომბრის კავშირს“ დარჩება, რადგან მთავრობა მიუდგომლობის მაგივრად, ამგვარად ამ კავშირს უჭერს მხარს.

ალბად, ამავ აზრით იგი ატუსაღებს მხნე მოღვაწეებს მემარცხნე (მეტადრე სოციალისტურ) პარტიებისას. ამით პარტიებს ეკარგებათ უკანასკნელი იმედი და საშუალება აგიტაციისა; ამას მთავრობა უმატებს კიდევ ახალ ზომას არჩევნების კანონის შესაზღუდად. როგორც მოგეხსენებათ, 11 დეკემბრის კანონი არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევს რკინის გზის ყველა მოსამსახურეს. როგორც გაზ. „ნ. ხ.“-ის გვაუწყებს, კანონის გამოსვლის შემდეგ, გამოიცა სხვა და სხვა ინსტრუქცია და კანონი, რომელთაც ძირითად საარჩევნო კანონთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ამ ინსტრუქციების ძალით, ამომრჩეველთა სიებში არ უნდა იყვნენ შეტანილნი რკინის გზის დაბალი მოხელეები და მუშები. მაშინ, როდესაც კანონის მეორე მუხლს, რომელიც შეეხება სახელმწიფო სამსახურის დაბალ მოხელეებს, სულ სხვაფრივ ხსნიან. აქ ზოგს ეჭვი აღეძრა, აქვთ თუ არა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება იმ დაბალ მოხელეებს, რომელნიც სახელმწიფო სადგომით სარგებლობენ. მთავრობამ ამ შემთხვევაში დაბალ მოხელეების მხარე დაიჭირა და მისცა უფლება არჩევნებისა ყველა სახელმწიფო დაწესებულების შვეიცარებს, მეეზოვეებს და სხვა ამგვარებს. რა აზრია აქ დაფარული, ყველა კარგად მიხვდება.

**

სადღაა, მაშ, 17 ოქტომბრის მანიფესტი? რაღა მნიშვნელობა აქვს ამ მანიფესტს? ამაზე ვიტტემ თურმე გარკვევით სთქვა თავისი აზრი. როგორც გაზ. „ნოვ. ვრ.“ გადმოგვცემს, გრ. ვიტტეს ეჭვიც არა აქვს იმისა, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი სრულიადაც არ აუქმებს თვითმპყრობელობას. მეფის უფლებას ხსენებულ მანიფესტის გამოსვლის შემდეგ არაფერი არ მოჰკლებია. „ზემოდ არაფერი ცვლილება არ მომხდარაო“, უთქვამს ვიტტეს: „სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში არ დარჩენილა არავითარი ცარიელი ადგილი, რომლის შესავსებადაც საჭირო იყოს სახალხო კრება საყოველთაო დამფუძნებელის მისსიით. მეორეც ისა, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი თვით მეფის ნებაყოფლობით არის მოცემული და ამიტომ ეს აქტი იმის უფლებას არა საზღვრავსო“. აქ კარგად ირკვევა ვიტტეს აზრი ხსენებულ აქტის შესახებ. საკვირველი კია გრაფის საქმე. კითხულობ და არ იცი, კეკემალულობას თამაშობს პრემიერი, თუ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე ფიქრობს.

რაც შეეხება იმას, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტმა „ზემოდ“ არაფერი შესცვალაო, „ქვემოდ“ რაღა შესცვალა, ნეტა? ჩვენ აქამდის გვეგონა, რომ ამ აქტმა სწორედ „ზემოდ“ შესცვალა და, თუ „ზემოდ“ ისევ ძველებური მდგომარეობაა, მაშინ იმას სრულიად არაფერი არ შეუცვლია. ასე პირდაპირ მაინცა სთქვას პრემიერმა და გაათავოს. მაგრამ ესეც არ დაგვაკმაყოფილებს. ზემოდ დასმული კითხვა მაინც კითხვად რჩება: რა იყო, თუ დღეს აღარა არის რა, ეს სამი დღის თავისუფლება, 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებული? აქ მოვიყვან ერთის გაზეთის კორრესპონდენციას ქ. მინსკიდან: „დაპატიმრებულთა რიცხვი სხვა და სხვა სამსახურის მოღვაწეებისა მრავლდება. ამბობენ, დააპატიმრეს 200 კაციო. ადგილობრივი კომიტეტი რკინის გზის კავშირისა აშკარად მოქმედებდა და ამიტომ ყველანი საპყრობილეში ჩასვეს. დაპატიმრებულთა უმეტესობა სოც.-დემოკრატები არიან. ეს უკანასკნელნი სცდილობდნენ თავიანთი მოქმედება ლეგალურ მოქმედებად გაეხადნათ და ამიტომ პოლიციამ ყველანი გაიცნო“.

ეს ყველაფერი მოხდა 17 ოქტომბრის მანიფესტის მეოხებით: ხალხი გულწრფელად მიენდო ამ აქტს და მთავრობის სიტყვას, ახლილად დაიწყო მოქმედება და... მახეში გაება. გამოდის, რომ ეს დიადი აქტი ყოფილა... რა ყოფილა, მკითხველო?

**

ამიტომაც არის, რომ ბიუროკრატიამ ყველგან ნდობა დაჰკარგა; ნდობა დაჰკარგა შინაც და გარედაც. შინაურ უნდობლობას მოსდევს ხაზინის გაკოტრება და გარეულს კი ის, რომ სესხს არავინ იძლევა. ბიუროკრატია კი ისევ ძველ გზას ადგია. ყოველივე საქმე უმაღლეს დაწესებულებებში ისევ ძველებურ გაჭიანურებას იწვევს, რასაც რუსულად „ВОЛОКИТА“ ჰქვიან. ამ გვარ „ვოლოკიტი“-ს მაგალითს გაზეთი „ნარ. ხოზ.“ გადმოგვცემს. რამდენიმე კრება სახელმწიფო საბჭოსი მოახმარეს ერთ გახუნებულ და წყალ-წაღებულ კანონის გარჩევას: ეს არის მანუხინის კანონი ღვთის გმობისათვის სასჯელის შემცირების შესახებ. იუსტიციის მინისტრის პროექტის ძალით, 17 აპრილის კანონის დაგვარად უნდა შემცირდეს სასჯელი ამ დანაშაულისთვის. მთელი შრომა და თავ-პირის მტვრევა თურმე ის არის, რომ უდიდესი სასჯელი 2 წ. შემცირებულიყო 6 თვედ, ხოლო უმცირესი სასჯელი—6 თვე—3 თვედ. საქმის გარჩევას მოანდომა საბჭომ, უმაღლესმა სახელმწიფო დაწესებულებამ, რამდენიმე კრება და ეს იმ დროს მოხდა, როდესაც მთელ რუსეთში სისხლის ღვრაა.

მეორე „საჭირ-ბოროტო“ საკითხი, რომელიც საბჭომ დიდის ყურადღების ღირსად ჩასთვალა, გახლავთ საკითხი პენსიების შესახებ. რადგან დღემდის პენსიები სამსახურიდან გამოსულ მოხელეებს ეძლევათ ეკატერინე მეორის დროის წესებით, ამიტომ მთავრობა იძულებული იყო შემოეღო ახალი წესი. დააწესა ასრეთ წოდებული „საგანგებო შემთხვევები“, რომლის ძალითაც თითქმის ყველა სამსახურიდან გამოსულ მოხელეს გაძლიერებული პენსია ეძლევა. ...

საკითხი განიხილა კიდევ საბჭომ ამ საშინელ დროს, მაშინ, როდესაც მეორე ამგვარსავე საკითხს, რომელიც ხალხის ინტერესების სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო, საბჭომ გვერდი აუხვია. იმავ მოხელეებს საგზაო ფასი მიმოსვლისა ეძლევათ ისევ ეკატერინე მეორის დროის წესებით, როდესაც რკინის გზები არ იყო და მიმოსვლა ერთი ხუთად მეტი ჯდებოდა, ვიდრე ეხლა. ეს „პრაგონები“ ხალხის კისრიდან იღებოდა ამიტომ საჭირო იყო ამის შეცვლაც, თუ კი სახელმწიფო საბჭოს რევოლიუციონურ ხანაში ამისთანა საკითხების განხილვა ძალუძს.

რაც შეეხება მართლა და საჭირ-ბოროტო საქმეებს, ყველა ასეთ საკითხს კანცელარიის „ვოლოკიტა“ ებედება, როგორც აქამდის იყო. ავიღოთ, მაგალითად, ამა თუ იმ თავისუფლების შესახებ დროებით კანონების შემუშავება. თურმე დიდი ხანია მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა პროექტი კავშირთა თავისუფლების შესახებ, მაგრამ დღემდის იგი არა თუ გამოცხადებული არ არის, სახელმწიფო საბჭოშიაც კი არ არის ჯერ შეტანილი განსახილველად. მინისტრთა საბჭო ყველა ამგვარ საკითხს შორს ინახავს და თავის კრებებს კი ანდომებს „მორიგ“ საქმეებს, თითქოს რუსეთში ძველებურად მშვიდობიანი დრო იყოს და ამას გარდა ზემოხსენებული საკითხი მორიგ საქმედ არ ჩაითვლებოდეს.

ერთი სიტყვით, ბიუროკრატიული დაწესებულებები სრულ ატროფიამდის მივიდნენ, ე. ი. ვეღარ ასრულებენ იმ ფუნქციას, რაც სახელმწიფოს ორგანიზმს სჭირდება. ამიტომ ეს დაწესებულებები, როგორც უვარგისნი, უნდა მოშორდნენ სახელმწიფოს და ახალ ორგანოს, ხალხის ნამდვილ წარმომადგენლების კრებას დაუთმონ ალაგი.

ეს არის ერთად-ერთი ხსნა.

გ. ნ.

ეხლა დრო არ არის მათის პასუხის გებაში მიცემისა, რადგან ეს გახრწნის ჯარსაო. ამ აზრს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეც შეუერთდა. ამის შემდეგ იუსტიციის მინისტრს აკიმოვს გამოუცხადებია პროტესტი სასამართლოების ალაგმის შესახებ ამ ბოლო დროს. ამაზედაც დურნოვიმ ისევ ის პასუხი მისცა: ეხლა ისეთი დრო, რომ მაგაზე ლაპარაკი არ შეიძლებაო.

საყოველთაო სწავლა-განათლება. სწავლა-განათლების სამინისტრო აგროვებს ცნობებს დაბალ და საშუალო სასწავლებლების შესახებ, რადგანაც ფიქრობს განიხილოს საკითხი საყოველთაო განათლების შესახებ.

გენ. ლინევიჩის დაბრუნება. ხმა დადის, რომ მალე მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდალი გენ. ლინევიჩი პეტერბურგში მოვაო. გენერალი მონაწილეობას მიიღებს „სახელმწიფო დაცვის საბჭოს“ კრებაში, სადაც უნდა განიხილონ საკითხი ციმბირის გზებზე არეულობის შესახებ. ლინევიჩის ალაგას გენერალი ხარკევიჩი დარჩენილა. ფიქრობენ, მანჯურიის ჯარი ერთ წელიწადს კიდევ დასტოვონ შორეულ აღმოსავლეთში.

საგლეხო რეფორმის პროექტი. კუტლერს შეუდგენია პროექტი მიწათ მფლობელობის რეფორმისა, რომლის ძალითაც საბატონო მიწების ნაწილიც გლეხობას უნდა გადაეცეს. დუბასოვს შეუტყობინებია ვიტტესათვის, რომ თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრება უკმაყოფილოა საბატონო მიწების ფართო ექსპროპრაციის პროექტის გამო. ვიტტეს გადაუწყვეტია კუტლერის პროექტის შეცვლა. პროექტის გასინჯვის დროს მხედველობაში იქმნება მიღებული დონის კავშირის პროგრამაც, რომელსაც პეტერბურგში წარმომადგენლები გამოგზავნიან. ამ კავშირის აზრით რუსეთში აგრარულ საკითხის გადაწყვეტა გაადვილდება, რადგან ბევრი ისეთი მიწაა, რომელზედაც ცხოვრობს მომთაბრე (КОЧЕВОЙ) ხალხი. მთავრობას განზრახვა აქვს, მთელი საკითხი ერთიანად განიხილოს და სანამ გადაწყდება არავითარი კერძო ცვლილება არ მოახდინოს.

წერილები

გორი. აგერ ერთი კვირაა, რაც გორშიაც შემოიღეს სამხედრო წესები, რომლის ლახვარი სრულიად მოულოდნელად დაეცა აქაურებს. ამ ნაირ რეპრესიებს არავინ ელოდა, რადგან აქ იარაღით არავინ შებრძოლებია მთავრობას და არც ერთი ტერორისტული მკვლელობა არ მომხდარა. ამისდა მიუხედავად, ზოგიერთა გორელების გასახარელად (ვინც გუშინ „ერთობა“-ს გაიძახოდა, დღეს კი „ახია მაგათზე“ იძახიან), ეხლა სისასტიკე მეფობს გორში, დღე არ გაივლის ისე, რომ აქეთ-იქიდან არ მოგესმას: წუხელის ეს გაჩხრიკეს ქუჩაში, შუაღამისას ის და სხვა. ვიღაც ხულიგანებმა ცეცხლის წაკიდება დაგვიპირეს. იმ დღეს ღამის ათ საათზე, წინდაწინვე დამზადებულის ტომრებით (ალბად ნაქურდალის წამოსაღებად) და ნავთით შუა ბაზარს მოსდგომოდნენ და ის იყო, რამდენსამე დუქნისთვის წაეკიდნათ ცეცხლი, რომ ერთ გორელს დაენახა და დუქნის პატრონებისთვის ეცნობებინა. უკანასკნელნიც, გულგახეთქილნი, გამოვარდნილიყვნენ, და დროზედ ჩაექროთ ცეცხლი, რომლის „გამჩენნი გაქცეულიყვნენ. მეორე დღეს დუქნის პატრონებმა ეს ამბავი მაზრის უფროსს აცნობეს“ და ამასთან შუა ბაზარი დაცალეს და საქონელი სახლში გაიტანეს.

რა დუქნისა, რა სახლის პატრონები! პატარა შეღამდება თუ არა, საწყალი გორელები, ქალიან-ვაჟიანა სახლში იბუდრებენ კრუხებივით და შიშით გარედ თავს ვერა ჰყოფენ, თითქო ახლად აღებულ ქალაქში იყვნენ! ასე გასინჯეთ, სახლშიაც კი ეშინიათ და ყოველ ღამ გულისფანცქალით დარბევა-გადაბუგვას ელიან!

აქ ამ ერთის კვირის განმავლობაში ოცამდინ კაცი დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. დაჭერილების რიცხვში, სხვათა შორის, არიან კეცხოველი (სანდრო), მუჩაიძე, ონიაშვილი, ტატიაშვილი (ეს ორი უკანასკნელი—სტუდენტები ლეიპციგის უნივერსიტეტისა), სანდრო შიხინოვი, ზანგურიძე, ქიტიაშვილი (ეს სამნი ვაჭრები არიან), გოლა ამირაღოვი და კიდევ სხვები. ვერც გორის ქალაქის თავი გრიგოლაშვილი ასცდა სასჯელს. გენერალ-გუბერნატორმა გრიგოლაშვილი გადააყენა და ომიანობის წესების ახსნამდის გორში ცხოვრება აუკრძალა!

საგრამორა

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

10 იანვარი

მოსკოვი, 10 იანვარი. გამომძიებელმა ვერ ჰპოვა დანაშაული ქალაქის დაჭერილ მოსამსახურეთა მოქმედებაში.

ტულიდან იუწყებიან, ადგილობრივმა თავად-აზნაურობამ თავისუფალი კაპიტალი მამულების დამწველების დასაქარავებლად გადასდეს. საარჩევნო სიებში განცხადების შეტანა თითქმის შეუწყდა, იმიტომ რომ ზოგიერთმა ეპისკოპოსმა აუკრძალა მღვდელ-მსახურთ „17 ოქტომბრის კავშირ“-ში შესვლა. პარტიის ცენტრალური კომიტეტი შუამდგომლობს ამ აკრძალვის მოხსნაზე.

გენ.-გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა აჯანყების გამო დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად. შეიკრიბა 243 ათასი მან. გადაწყვეტილია, დაეხმარონ გაჭირვებულებს. სახლის პატრონების ზარალის ანაზღაურება შეიძლება ხაზინის ხარჯით. დაარსდა კომისია სახლის პატრონების ზარალის გამოსაკვლევად. მიცემულია სულ 25 თხოვნა.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 10 იანვარი. ქალაქის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. სორმოვოში სიმშვიდეა. ქარხნის გაღებას 12 იანვრისათვის ელიან. აგრარული მოძრაობა მიწყნარდა. მაზრებში ხალხს იჭერენ. წაართვეს ბევრი იარაღი.

როსტოვი დონზე, 10 იანვარი. უკანასკნელმა დღეებმა მშვიდობიანად ჩაიარა. ნორმალური ცხოვრებაა. ფაბრიკები და ქარხნები მუშაობენ. მაღაზიები ღიაა.

მოსკოვი, 10 იანვარი. საგლეხო ბანკის წარმომადგენელმა განუცხადა თავად-აზნაურთა კრებას, საგლეხო ბანკი, გლეხების მიერ მიწების შეძენის დროს, დააფასებს მათ მიწის ბუნებრივ შემოსავლიანობის მიხედვით. საგლეხო და სათავად-აზნაურო ბანკების საბჭო მოსკოვის გუბერნიის ყველა სამაზრო და საერობო მმართველობათა წარმომადგენლებთან ერთად სჯაბაასობს გლეხების მიერ მიწის შესყიდვის დროს სესხის გაცემის ახალ წესზე.

პეტერბურგი, 11 იანვარი. 11 იანვარს საერო განათლების მინისტრთან იყო განსაკუთრებული დეპუტაცია სრულიად რუსეთის სახალხო უნივერსიტეტებისა. საზოგადოების დეპუტაციამ აცნობა მინისტრს, რომ საზოგადოებას განზრახვა აქვს რუსეთი სახალხო უნივერსიტეტების სახელით მოჰფინოს. მინისტრი თანაგრძნობით მოეპყრა ამ საქმეს და უთხრა დეპუტაციას, რომ თქვენი თხოვნა სახალხო უნივერსიტეტებისთვის სამინისტროს შენობების დათმობას შესაძლებელია ჩქარა იქნას განხორციელებულიო. ადმირალი ალექსეევი აგერ მეორე კვირაა რაც პეტერბურგში იმყოფება ჩუმად. ის აწყობს თავის კერძო საქმეებს, რის შემდეგ ძლიერ დიდის ხნით აპირებს რუსეთის დატოვებას

მესტამბეთა კავშირმა რჩევა იქონია უკანასკნელ დღეებში რამდენიმე სტამბის დახურვაზე და დაადგინა, წარუდგნენ ინ კორპორე შინაგან საქმეთა მინისტრს დურნოვოს და მიაქციონ მისი ყურადღება იმაზე, რომ პეტერბურგის ადმინისტრაციის განკარგულება ეწინააღმდეგება ბეჭდვით სიტყვის წესებს, რომელნიც პასუხს მხოლოდ პერიოდულ გამოცემებს სთხოვენ.

ბალტიის პირა მხარიდან მოსულ მოხსენების გამო უმაღლესმა საზღვაო მთავრობამ დაადგინა გაიგზავნოს იქითკენ გაგზავნილ 5 ბატალიონი ჯარის გასაძლიერებლად კიდევ 2 ბატალიონი.

რიგა, 11 იანვარი. საღამოს, შუაგულ ქალაქში, ალექსანდროვსკი ბულვარზე, დაეცნენ პატრულს. მოსკოვსკი უბანში დაეცნენ გოროდოვოების რაზმს, რომელიც გამოჩენილ ტუსაღს აცილებდა. დაცემა უკუაგდეს. დამსხმელნი მიიმალნენ. ქალაქში განაგრძობენ ძარცვას. მძარცველები ჯგუფ-ჯგუფად იჭრებიან სავაჭრო დაწესებულებებში, მიაქვთ კასსა და იმალებიან. ლიფლიანდიის გუბერნიიდან ცნობები მოდის, რომ მცხოვრებთა ერთი ნაწილი, დაშინებული ჯარის ენერგიული მოქმედებით, მოდის ბოდიში მოსახდელად და იძლევიან აგიტატორებს, რომელთაც ხვრეტენ, ნაწილი კი ტყეებისაკენ გარბის. ქალაქ ფელინში 9 იანვარს, საველე სასამართლოს გარდაწყვეტილებით, დახვრიტეს 45 კაცი არეულობაში მონაწილეობისათვის.

ლონდონი. 11 იანვარი. ნიუ-იორკიდან აუწყებენ „ტაიმს“-ს, დაბეჯითებით ამბობენ, რომ ამერიკის ელჩს ტოკიოში საგანგებოდ აქვს მინდობილი მოლაპარაკება იაპონიის მთავრობასთან ფილიპინის კუნძულების მისყიდვის შესახებ.

პეკინი. 11 იანვარი. ქვრივმა იმპერატრიცამ მოითხოვა, რომ ახალ წლისათვის წარუდგნენ მას ყველა ის პრინცები, რომელთაც ნება აქვთ ტახტის მემკვიდრეობაზე. მას განზრახვა აქვს აირჩიოს მათში სამი—ოთხი, უფრო გამოჩენილი, ერთით ან ორის წლით დასტოვოს სასახლეში და შემდეგ ერთი იმათგანი აირჩიოს მემკვიდრეთ.

პეტერბურგი, 11 იანვარი. ოფიციალური. ტფილისიდან მოსულ ტელეგრაფის ცნობის შესახებ, რომელიც 10 იანვრის „ნოვოე ვრემია-“შია დაბეჭდილი, რომ ვითომც საქართველოს ეკკლესიის გამოყოფის საკითხი ჩქარა გადაწყდება დასტურითო, ჩვენ გვიგეთ სამღვდელო წყაროდან, რომ უწმ. სინოდში გაიმართა მხოლოდ თათბირი კავკასიაში ეკლესიის საქმეების კეთილმოწყობის შესახებ, რაც შეეხება საეკლესიო საქმეების საბოლოოდ გადაწყვეტას, ეს დამოკიდებულია მხოლოდ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე.

პეტერბურგი, 11 იანვარი. მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, მთავრობის დაწესებულებებში მოსამსახურეთ აქვთ თუ არა ნება მიემხრონ ამა თუ იმ პარტიას რუსეთში და მიიღონ მონაწილეობა მათ მოღვაწეობაშიო და დაადგინა, რომ ამა თუ იმ პარტიის წევრობა ეს თვითეულის რწმენის საქმეა, ამასთან თავისთავად ცხადია, ისეთ პარტიაში მონაწილეობა, რომელიც მიისწრაფვის არსებულ წესწყობილების დასანგრევად, არაა მოსათმენი. ამას გარდა, რადგანაც სახელმწიფო დაწესებულებების წმინდა ვალია კეთილ სინდისიერად შეასრულოს ხელმწიფის ნება და გულმოდგინედ მოეკიდოს სამსახურში კანონის მიერ მისთვის დაკისრებულ თანამდებობებს, ამის გამო, პარტიის ამა თუ იმ პროგრამიდან დამოუკიდებლად, პოლიტიკაში მუშაობა არაფერში არ უნდა უშლიდეს ხელს სამსახურის საქმეების პატიოსნად და ფიცისამებრ შესრულებას. სამმართველოს განყოფილებისა ანუ ადგილობრივ ცალკე დაწესებულებების უფროს პირთ, რომელთაც უნდა დააფასონ ამა თუ იმ მოხელეების მოქმედება პოლიტიკურ ასპარეზზე, არ აქვთ ნება იკისრონ პარტიათა ბელადობა, იყვნენ თავმჯდომარენი ანუ წევრები სხვა და სხვა პარტიულ ბიუროთა და კომიტეტების წევრებო. ხსენებული დადგენილება მინისტრთა საბჭომ დაუგზავნა ყველა მინისტრებს სახელმძღვანელოდ.

პეტერბურგი, 11 იანვარი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში გამოცხადებულია იმ გუბერნიების დამატებითი სია, რომლებშიაც ნება აქვთ ებრაელებს ცხოვრებისა. გაზეთების ცნობით, სენატმა განმარტა, რომ სათათბიროში წევრების საარჩევ კრებაზე გლეხებისა, წვრილ მემამულეთა და მღვდელ-მსახურთა, შეიძლება აირჩეს ისინიც, ვინც კრებაზე არ არიან.

ვენდენ. 11 იანვარი. 9 იანვარს, ორლოვის რაზმმა, ვალკში შეაჩერა რევოლიუციონური მოძრაობა ვალკსკისა და ვერროსის მაზრებში, სადაც აღდგენილ იქნა აგრეთვე რკინის გზის მუშაობა.

ენისეისკი. 11 იანვარი. ენისეისკის ვოლოსტებში მოძრაობაა, შემნახველ კასსებიდან შეტანილ ფულს ითხოვენ უკან. გადასახადს სუსტად იხდიან.

ლონდონი. 10 იანვარი. ამოირჩიეს 289 ლიბერალი, 26 მუშა, 122 უნიონისტი, 79 ნაციონალისტი. ლიბერალებმა მოიგეს 151 ადგილი, მუშებმა 29. დამშეულ მცხოვრთაგან 151, 301 კაცს აქვს სამუშაო საზოგადო საქმეებზე.

პერმი. 10 იანვარი. პერმის გზაზე აარსებენ ქვეითა დრუჟინებს რკინის გზის ჟანდარმერიის ხელმძღვანელობით და ყურის ცდებით.

სუჯა. 11 იანვარი. მოვიდა გუბერნატორი, კავალერია, ორი ზარბაზანი.

ბათუმი. 11 იანვარი. მუსულმანთა და ქართველებს შორის გამწვავდა ურთიერთობა. მოკლულია და დაჭრილი რამდენიმე ქართველი.

კიშინევი. 11 იანვარი. გაჩხრიკეს „ბესარაბსკი ჟიზნ“-ის რედაქცია და სტამბა. დაიჭირეს კერძოდ შეკვეთილი საქმეები და ამოწყობილი გამოცემა კონ.-დემოკრ. პარტიისა მოლდავურ ენაზე.

ბერსტი. 11 იანვარი. ჩაიძირა რუსის სამ ანძიანი გემი უცნობ გემთან შეტაკების გამო. ეკიპაჟი როგორც ეტყობა გადარჩა.

ლოზანნა. 11 იანვარი. მოკავშირეთა სასამართლოს გარდაწყვეტილებით, რუსეთის ქვეშევრდომი ქალი მარკინა, რომელიც დატუსაღებული იყო ჟენევის ანარქისტულ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის, განთავისუფლებული იქნა. საქმე მოისპო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

10 იანვარი

პეტერბურგი. კონ.-დემოკ. კრებამ დაადგინა: რადგანაც, თ. ევგენი ტრუბეცკოის სიტყვით, სიტყვა დემოკრატი მასსისთვის გაუგებართა, მეტადრე გლეხებისათვის, რომელთათვის ეს სიტყვა ნიშნავს რევოლიუციონერსა, გამფიცველს, ამიტომ პარტიას სახელად დაერქვას უფრო გასაგები სახელი—„პარტია ხალხის თავისუფლებისა“. გარდა ამისა, ხანგრძლივ კამათის შემდეგ, გარდაწყდა, რომ რუსეთის სახელმწიფო არის კონსტიტუციონური და პარლამენტალური მონარქია.

პეტერბურგი. ტელეგრაფით მიღებულ ცნობებით, ვლადივოსტოკში ყველაფერი წყნარადაა. ძლიერ გაამაგრეს პოსტები. ხმებია, რომ სათადარიგო ჯარის კაცთა მეტი წილი გადაყვანილ იქმნება ზღვით, რადგანაც ზაბაიკალისა და ციმბირის გზებზე მიმოსვლა გასაჭირია. ამურის პირა მხარეშიაც სიმშვიდეა. ლინევიჩი, რომელიც გამუდმებით ათვალიერებს ჯარს, ზამთარს ხარბინში გაატარებს.

ირკუტსკის გენ.-გუბერნატორად დაინიშნა გენ.-ლეიტ. ალექსეევი, რომელიც ციმბირის მსროლელთა დივიზიას უფროსობდა.

იანვარში განახლდება მუშაობა სახელმწიფო ქარხნებზე. პუტილოვის ქარხანა უკვე ამუშავდა.

ტყუილია ხმა, ვითომც იუსტიციის მინისტრი აკიმოვი თავს ანებებდეს სამსახურს.

11 იანვარს ცარსკოე სელოში იყო იუსტიციის მინისტრ აკიმოვი.

15 იანვარს ჰელსინგფორსში გაიხსნება სრულიად რუსეთის მუსულმანთა კრება, რათა გამოიკვლიონ ღონისძიებანი თათრების ადგილობრივ გაჭირვების მოსასპობად.

პეტროპავლოვსკი, 11 იანვარი. ქალაქში სამხედრო წესები შემოიღეს. გენერალ-გუბერნატორ სუხოტინის განკარგულებით გადააყენეს სამსახურიდან ქალაქის თავი შპრინგბახი.

ბახმუტი, 11 იანვარი. სოფ. ავდეევკაში დაატუსაღეს მღვდელი იოსებ გურეევი, რომელსაც აგიტაცია ბრალდება.

მიტავა, 11 იანვარი. ფრიდრიხშტადტის მაზრაში დაატუსაღეს მეამბოხეების მიერ დანიშნული თავმჯდომარე სახალხო სასამართლოსი მასწავლებელი ბლიუმი და ერთი წევრი ამ სასამართლოსი.

პეტროპავლოვსკი, 11 იანვარი. ჟანდარმთა პოლიციამ დაატუსაღა 15 რევოლიუციონერი. ქალაქში მშვიდობიანობაა.

მინსკი, 11 იანვარი. მინსკის გუბერნიის 24 სატელეგრაფო დაწესებულებაში გაიხსნა პოლონურ ენაზე დაწერილ დეპეშების მიღება.

სიმფეროპოლი, 11 იანვარი. მელიტოპოლის მაზრის სოფ. ვესელში დაატუსაღეს ასამდე ჩამოსული გლეხი, წევრები გლეხთა კავშირისა.

ლოძი, 11 იანვარი. დღეს სწავლა დაიწყეს 7 კლასიან კომერციულ სასწავლებელში. სწავლა პოლონურად სწარმოებს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობისაგან

ტფილისისა და ტფ. მაზრის ყოფილ დროებით გენერალ-გუბერნატორის გენ.-მაიორის ალიხანოვის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილების თანახმად ქალაქ ტფილისში შემოღებულ უნდა უნდა იქნას მეეზოვეთა ინსტიტუტი. ქალაქის გამგეობამ, 10 იანვრის სხდომაზე, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გამგეობის მიერ მოწვეულმა სახლის პატრონებმა ქალაქის ათის საპოლიციო ნაწილიდან, საჭიროდ დაინახა ყოველს ნაწილში დაწესებულ იქმნას განსაკუთრებული ბიურო რწმუნებულისა და რამდენისამე წევრისაგან. ამ ბიუროს კრებამ შემდეგი დაავალა: 1) გამორკვევა იმისა, თუ რამდენი მეეზოვე უნდა იქნას თითოეულს ნაწილში, 2) აღნიშვნა ყოველს ნაწილში ისეთ სახლებისა, რომელთაც საერთოდ შეუძლიათ ერთის მეეზოვეს დაქირავება და 3) დანიშვნა სადარაჯო ადგილებისა.

ზემოხსენებული მოსაზრებანი ბიუროებმა უნდა წარმოადგინონ ქალაქის გამგეობაში დასამტკიცებლად 15 იანვრისათვის და ამ დღესვე, დილის 11 საათზე, გამგეობის სახლში (ერევნის მოედანზე) მოხდება შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საპოლიციო ნაწილების ბიუროთა რწმუნებულებისა.

რწმუნებულებად და ბიუროთა წევრებად არჩეულ იქმნენ შემდეგი პირები:

I საპოლიციო ნაწილში:

ბ. ბ. მ. ნ. ათაბეკოვი (რწმუნებული; გრიბოედოვის ქუჩა, № 23), სტანიშევსკი, შაჰბუდაგოვი, იარალოვი, ფირალოვი, მელიქ-ბეგლიაროვი და რიატინოვი.

II საპოლიციო ნაწილში:

ბ. ბ. სტეფანიანცი (რწმუნებული; სუდებნი ქუჩა № 12) აილადანოვი, ყარაქეშიშევი, დოლგოვი და მნაცაკანიანი.

III საპოლიციო ნაწილში:

ბ. ბ. მელიქ-ბახტამიანცი (რწმუნებული; სარძევე პუშკინის ქუჩაზე). პეტროსოვი, ვართანოვი კოხანოვსკი და საგინაშვილი.

IV საპოლიციო ნაწილში:

ბ. ბ. გ. ი. მარქაროვი (რწმუნებული; განოვის ქუჩა, № 23), ხატისოვი, სვეშნიკოვი, ტიგრანოვი (ლ. თ.) თულაშვილი და წერეთელი.

V საპოლიციო ნაწილში:

ბ. ბ. ექ. ვართანოვი (რწმუნებული;ხლებნ. მოედანი, საკუთ. სახლი), საათსაზოვი, ჩახმახ-საზიანცი, სტეფანოვი და ულიანცევი.

VI საპოლიციო ნაწილში:

ბ. ბ. იეღიგაროვი-ჰუსსეინ-ბეკი (რწმუნებული; ვორონცოვის ქუჩა, საკუთ. სახლი), ვართაზარიანცი (რწმუნებული; ადელხანოვის ფაბრიკა), ჰასან-ზადე, იზმაილოვი იზმაილხან და ტერ-ღუკასოვი.

VII საპოლიციო ნაწილში:

ექ. იგნატიანცი ი. ს. (რწმუნებული; ავლაბარი, საქალაქო სამკურნალო) და ივანოვი (დანარჩენი წევრები შემდეგ იქნებიან არჩეულნი).

VIII საპოლიციო ნაწილში:

ბ. ბ. თოიძე (რწმუნებული; გონჩარნი ქუჩა), ადამიძე, ბოლოტინი და გულისაშვილი.

IX საპოლიციო ნაწილში:

ბ. ბ. ნ. ვ. აბრამიანი (რწმუნებული; ნიკოლ. ქუჩა, საკუთ. სახლი), მამულოვი (რწმუნებული; რაზიეზჟაია ქუჩა, საკუთარი სახლი), გრიქუროვი, მ. ყარაბაღოვი, მილოვი და თავ. გ. ს. ციციშვილი.

X საპოლიციო ნაწილში:

ბ. ბ. ბრონ-ფონ-ბრენერი (რწმუნებული მიხეილის პროსპექტი № 61), ყარა-მურზა და ემინოვი.

ნაძალადევში: ბ-ნი ხეჩო ხოჯაევი (რწმუნ.)

ქალაქის გამგეობა აუწყებს ამას ყველა სახლისპატრონთ და ამასთანავე აცნობებს, რომ ყოველგვარ საქმეზე, რომელიც მეეზოვეთა შემოღებასა და მოქმედებას შეეხება, უნდა მიჰმართონ ხოლმე ქალაქის გამგეობასა ან ზემოდ აღნიშნულ რწმუნებულებს. (ნ.—1—1)

ქართველ მკითხველ მგზავრების საყურადღებოდ

სადგურ მიხაილოვის ბილეთის კასაში იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

1. „ცხოვრება და სიყვარული“, თანამედროვე რომანი 320 გვ., ფასი 40 კაპ.
2. „ვარინკას ამბავი“, თანამედროვე მოთხრობა, 100 გვ. ფასი 20 კაპ.
3. „ოჯახის და საკუთრების წარმოშობა-განვითარება“, პროფეს. კოვალევსკისა, ფასი 20 კაპ.
4. „ლექსები და პოემები“, ჩარხიშვილისა, 120 გვ., ფასი 15 კაპ.
5. „რამდენ მილიონ მანეთს ჰკარგავს იმერეთი სწავლისა და მეურნეობის მოუწყობლობით“, ართმელაძისა, ფასი 10 კაპ.

ვინც ყველას ერთად იყიდის ან გაიწერს, მანეთად დაეთმობა. შეიძლება მარკებითაც და სხვა წიგნებზე გაცვლითაც.

მისამართი: Ст. Михайловъ кассиру Чархишвили. (4—1

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—23)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კაპ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ნელი, მოთხრობა —მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
დვინის დაცემა, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგმანი სომხურიდან გ. ევანგულოვისა	1	—

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება იანვრიდან იანვრამდე.

პირველი ნომერი გამოვა 1 იანვარს.

რადგანაც ფოსტა-ტელეგრაფი არა მოქმედებს, მუდმივ სტამბების გაფიცვისა და არეულობის გამო იძულებული ვართ მეორე წლის პირველი ნომრები გამოვსცეთ იანვრიდან.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წ. კ. გ. საზოგადოების“ კანცელარიაში და მარიამ დემურიას სადგომში—ალექსანდროვის ქუჩა № 5.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან. ნახევარ წლით ერთად 2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 50 კაპ. ცალ-ცალკე ნომერი „მცირე წლოვანთათვის“ 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.

შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათად

პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „НАКАДУЛИ“.

რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურიასი.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი**

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. განქის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372